# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 24 ივნისი, 2011 წელი.

№117 (6728)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## პარლამენტის გადატან-გადმოტანისა გამო...



## მე, ალიენდე, ალიენდე!..

თუმცა იმ ჩილელს რას მივტირი, როცა ჩემს პრეზიდენტს მიცუცურაკებენ!

## რახან ხარჯია, ხარჯი იყოს!..

2

## ერთს რომ ერთი მივუმატოთ, რამდენია, ბაჭია?



ანუ თუ ნავარაუდევი რამდენიმე ათეული ათასი ლარი მერე რამდენიმე ასეულ მილიონად „დამრგვალდა“, 57 მილიონი რამდენს „იბარტყებს“?

## კოდუმების კლანი

საზოგადოებას გავაცნობთ ქალბატონ ლაურა ლაჭავას უძრავი ქონების ნაწილს, რაც მკითხველს მეტი ფიქრის საშუალებას მისცემს.

5









უზერებელი ლექსი

3

## „მე, კიდევ ერთი სიკვდილმისჯილი“...

Le Monde.fr

## დროა, დასავლეთმა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია აღიაროს

8

## ვარიაციები „აფხაზეთის დამოუკიდებლობის“ თემაზე

4



გია გვაზავა:

**აფხაზეთის აღიარებით სხვა ჩასაფრებული რეგიონები წამოყოფენ თავს და საქართველოს დაშლა დაიწყება**



პაატა ზაქარეიშვილი:

**აფხაზეთის აღიარება საქართველოს ინტერესებს კი არა, უპირველესად აფხაზი ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგება**



მარიკა ლორთქიფანიძე:

**მამუკა არეშიძეს, ალბათ, რაღაც ინფორმაცია აქვს, რადგან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების პრეზენტაცია მოახდინა**



ირინა სარიშვილი:

**აფხაზეთის აღიარების ინიციატივით საზოგადოების ზონდირებასთან გვაქვს საქმე**

ⓞ ყველა ცრუი?!

# 1. ეჰ, ალიენდე, ალიენდე!..

## თუმცა იმ ჩილელს რას მივსტირი, როცა ჩემს პრეზიდენტს მიცუცურაკებენ!

**ალიენდე, ალიენდე, კომუნისტებს რატომ ენდე? ენდე? ენდე!**

**ასაკოვან ხალხს ეხსომება გასული საუკუნის 70-იან წლებში პოპულარული ეს ფრთიანი ფრაზა.**

**ენდო და, როგორც ქართლში იტყვიან, ენდე! რაც მოუვიდა, თავის თავს დააბრალოს!**

თუმცა, კვლავ ვიმეორებ, იმ ცხონებულ ჩილელს რას მივსტირი, როცა ჩემს პრეზიდენტს, ალალსა და მიმნდობს, მიცუცურაკებენ, ტყუილს სიმართლედ შეასაღებენ და სიცრუეს რეალობად შეაფასებინებენ ხოლმე სახალხოდ!

ამით კი ხალხის თვალში ავტორიტეტს რომ შეულახავენ და მატყუარის იმიჯს უქმნიან, იმას არად დაგიდევენ!

თანაც, არ იკითხავთ, ვინ აკეთებს ამას? ვინ და, იმ „ერთი გუნდის" წევრები, პრეზიდენტს რომ ახვევიან და, საკუთარი ინტერესების დაცვის სურვილით ატაცებულნი, ნებსით თუ უნებლიეთ, მასაც და ქვეყანასაც ცუდ სამსახურს უწევენ.

**ერთი იმათგანია თუნდაც სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი — ზოგჯერ იმდენად ალალი და ჩვილივით მიამიტი გამომეტყველებისა, კაცს, შენდა უნებურად, ამ „ალუასთვის" პირში მატყუარა საწოვრის ჩადებაც რომ მოგინდება მისი საყვარელი „დედალი ძროხის" ძუძუს, უფრო სწორად, რძით სავსე ბოთლის ნაცვლად.**

ახლახან სწორედ იგი და მის მიერ ამ ცოტა ხნის წინათ პრეზიდენტისთვის კახეთში შეჩეჩებული მორიგი „კუკლა" გამახსენა (მოტყუებულ ალიენდესთან ერთადძ შიდა ქართლის სანახებმა: **საავტომობილო ტრასის გასწვრივ, მარჯვნივ თუ მარცხნივ, ბატონო პრეზიდენტო, საუკეთესო სავარგულების (თავის დროზე ხვავსა და ბარაქას რომ აყენებდა), სულ მცირე ორ მესამედზე მეტი დაუხნავ-დაუთესავია!**

**გული მოგიკვდება კაცს!**

**ავი ენები ამბობენ, არც კახეთშია უკეთესი მდგომარეობაო!**

ამ მიამიტობის ნიღაბაფარებულმა კვეზერელმა კი ვერტმფრენში რომ შეგიტყუათ და „ჩიტის საფრენიდან" დაგათვალიერებინათ კახეთის სანახები, ეს არაფერს გეუზნებათ?



ალბათ, იმედოვნებდა, ვირეშმაკობას ვერავინ მიმიხვდებაო! იქნებ არც მთლად უსაფუძვლოდ: **ზემოდან ხომ ბალახიც ჯეჯილივით ბიბინებს, აქა-იქ მოხნული ფართობები კი ზოგიერთი ზარმაცი გლეხის მიერ მოგვიანებით დამუშავებულს ჰგავს.**

ამადაც ეგონა, ვერ მიმიხვდებიანო.

**თქვენც ენდეთ და მოგატყუათ!**

ამიტომ სხვა დროს, თუ თავისი ნამუშაკარით (რომლის სიკეთე რეალურად რატომღაც დღემდე ვერც დარგმა იგრძნო და ვერც ხალხმა!) თქვენთან თავის მოწონება, ფაქტობრივად კი თქვენი მოტყუება გადაწყვიტა, ნუ ენდობით და, მით უფრო, **ვერტმფრენში ნუ აყვებით: თუ სიმართლის გაგება გსურთ, მანქანით იმოგზაურეთ საქართველოში.**

მერწმუნეთ, სიღრმეებში შესვლა არ დაგჭირდებათ — **საავტომობილო ტრასების გარდიგარდმოც ყველაფერი კარგად ჩანს** (ჩვენებურ ვირეშმაკებს იმდენი ტვინიც არა აქვთ, რომ მოხერხებული რუსი თავადის პოტიომკინის დარად გზის პირას მაინც „გააშენონ სოფელი" „თლად უფროსის" მოსატყუებლადძ — **მოუხნავ-დაუთესავი სავარგული** (სხვას ყველაფერს თავი დავანებოთ (თუნდაც ლამის ოქროს ფასად შესაძენ ხილსძ და ერთიღა ვთქვათ: ქართლი, სულ 3-4 წლის წინათ კი, კომბოსტოს მიჰქონდა და ახლა თურმე იგი... ისრაელიდან შემოგვაქვს! აღარაფერს ვამბობ ხალხის მიერ გაჭირვებაში ქვეყნის გადამრჩენად მონათლულ ლობიოზე, რომელიც მუდამ საქართველოში მოგვყავდა სამყოფად, ახლა კი ისიც გარედან... შუა აზიიდან (?!ძ შემოგვაქვს!).

ამას რამენაირი ახსნა-გამართლება ხომ უნდა? ჰოდა, ამაშიც გატყუებენ, ბატონო პრეზიდენტო ათასნაირი სისულელით — ქართველი გლეხი გაზარმაცდაო, უქნარააო, მუშაობა არ უნდაო და, ამიტომ, ბურები უნდა ჩამოვასახლოთო... აბა, იმას ხომ არ იტყვიან, ჩვენი უთაობა-უნიათობით თუ საგანგებოდ შექმნილი ცუდი პიროზებით, მათ მუშაობის არანაირი შესაძლებლობა არა აქვთო?!!

**ამიტომაც ნუ მოატყუებინებთ თავს და თქვენებურად მოუგრიხეთ კისერი იმ ვითომ თქვენს ერთგულ ნაცმოელ ჩინოვნიკებს, თავიანთი უნიათობის დასაფარავად ზემოაღნიშნული „მეთოდებით" ხალხში სახელს რომ გიტეხენ და, ტყუილ-ტრაბახის სიძულვილით თუ სიმართლე-სამართლიანობის სიყვარულით იმავე ხალხში დამსახურებულად მოპოვებულ თქვენდამი სიყვარულსა და ნდობას ქარს ატანენ.**

# 2. ერთს რომ ერთი მივუმატოთ, რამდენია, ბაჭია?

## ანუ თუ ნავარაუდევი რამდენიმე ათეული ათასი ლარი მერე რამდენიმე ასეულ მილიონად „დამრგვალდა", 57 მილიონი რამდენს „იბარტყებს"?

**გიორგის მივმართავ ამ კითხვებით, არველაძეს, თავისი „სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის" გარიჟრაჟზე, თუ მეხსიერება არ მღალატობს, პრეზიდენტად ახალარჩეული მიხეილ სააკაშვილის პრესსამსახურის უფროსის მოვალეობას რომ ასრულებდა, მერე რამდენიმე თანამდებობა „გადაძოვა", ბოლოს კი გაგვიჟურნალისტდა. უფრო მეტიც — ტელეკომპანია „იმედის" ჟურნალისტთა თავკაცადაც მოგვევლინა, სადაც ავადსახსენებელი „მოდელირებული ქრონიკით" და თავის დროზე ხალხის საყვარელი ამ ტელეკომპანიის „გადაგვარებითღა" დაგვახსომა თავი.**



„ბაჭია", ღმერთმანი, მის გასალიზიანებლად და, მით უფრო, შეურაცხყოფის მისაყენებლად არ მიხსენებია. ხომ გახსოვთ საყმაწვილო ლექსი — **ერთს რომ ერთი მივუმატოთ, რამდენია, ბაჭია? არ დაიბნა ბაჭია, ორი თათი ასწია.**

არც პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსად მომუშავე გიორგი არველაძე დაიბნა მაშინ, როდესაც სიტყვა თბილისის ყოფილი ავტოინსპექციის შენობის ბაზაზე პრეზიდენტის რეზიდენციის აშენებაზე ჩამოვარდა: **რა საჭიროა ამდენი მითქმა-მოთქმა და აურზაური, ამ შენობას კოსმეტიკური რემონტიღა სჭირდება, რაც მხოლოდ რამდენიმე ათეული ათასი ლარი დაჯდებაო,** — დაბეჯითებით გვითხრა ტელეეკრანიდან.

**ე, მაგ სიმართლით რომ დადის და მუშაობს ახლაც, სწორედ იმიტომაა დღევანდელი „იმედი" ხალხისთვის ლამის იმედის წამგვრელი!**

თუმცა ეს სხვა საუბრის თემაა. ამიტომ ახლა იქნებ ის აგვიხსნათ, ბატონო გიორგი, როგორღა „დამრგვალდა" თქვენეული „რამდენიმე ათეული ათასი" რამდენიმე ასეულ მილიონად **(სულ სხვა საკითხია, უნდა დაეხარჯა თუ არა ამ სრულიად არასაჭირო მშენებლობისთვის უამრავი პრობლემა-გასაჭირის მქონე ქვეყანას ამდენი ფული!)?**

ვიმედოვნებთ, აგვიხსნით და იმასაც უთუოდ გვეტყვით, **რამდენს „იბარტყებს" საბოლოოდ ის 57 მილიონი ლარი, რომელიც სჭირდება თურმე ქუთაისში ახალი პარლამენტის შენობის აგებას.**

თქვენს საყვარელ პიონერხელმძღვანელსა თუ მათემატიკის მასწავლებელს გაფიცებთ, ბატონო გიორგი, რომელმა მასწავლებელმაც ასეთი უტყუარი გაანგარიშებების გაკეთება გასწავლათ, ნუ დაგვზარდებით და, გვითხარით ეს.

და კიდევ: ეკონომიკაში რომ კარგად ერკვევით, ვიცით (აკი აყვავდა ჩვენი ეკონომიკა თქვენი ეკონომიკის მინისტრად მუშაობისას!ძ. ამის გათვალისწინებით, იქნებ ისიც გვითხრათ, ეკონომიკურადაც რამდენად გამართლებულია ამის გაკეთება?

**იმაზე კი, თუ რამდენად საჭირო და გამართლებულია პარლამენტის დედაქალაქიდან რეგიონში ხალხის დაუკითხავად გადატანა (თუ თქვენმა წინამორბედმა „არადემოკრატიულმა ხელისუფლებამ" დეპუტატთა რიცხოვნობის განსაზღვრაც კი ამომრჩევლებს მიანდო რეფერენდუმზე, ქვეყნის პოლიტიკური ცენტრის შეცვლის მიზანშეწონილობის საკითხი რატომ არ არის ვითომ რეფერენდუმით გადაწყვეტის ღირსი, როგორც ამას უმრავლესობის წარმომადგენლები აცხადებენ!)?**

რუსლან რუსია

ⓞ მაქვს წინადადება

# რახან ხარჯია, ხარჯი იყოს!..

## პარლამენტის გადატან-გადმოტანისა გამო...

რას ვიზამთ, უნდა შევეგუოთ, რომ თბილისი ნელა-ნელაობაში დედაქალაქის შინაარსს კარგავს. ჩვენი ჩაუქი პრეზიდენტის მჩქეფარე ფანტაზიისგან კიდევ ბევრს რასმე მოულოდნელს უნდა ველოდოთ... პარლამენტის ქუთაისში გადატანა რა ბედენაა! სულ ადვილი შესაძლებელია, რომ ერთ არამშვენიერ დღეს თვითონ საქართველოს სადმე სხვაგან გადატანის პროექტიც გაჩნდეს... თორემ ამ ბოლო დროს ნამეტანი შეგვიტია სტიქიამ და რა იცი, რა მოხდება ხვალ, რა უბედურებას დაგვატეხს თავს რუსეთი თუნდაც ეშერიდან!..

რაც შეეხება პარლამენტის ქუთაისში გადატანას, როგორც პეტრე ბრძანებს, ცისკარიშვილი, ნაციონალთა გენერალური მდივანი, მტრის, ანუ რუსეთისთვის „ჭოჭის" მისაცემად იქნებ მართლა ურიგო არ იყოს. თანაც, როგორც პრეზიდენტის ჩანაფიქრი ყოფილა, ქუთაისის პარლამენტში თურმე არც ერთი ამჟამინდელი პარლამენტარი აღარ იქნება, თვით მარადი პარლამენტარის გიგი წერეთლის ჩათვლით. ასე რომ არც ეს სრული განახლება გამოიყურება მთლად უსახურად.

მაგრამ ჩემი წინადადება სულ სხვა რასმე ითვალისწინებს, ჯერ ერთი, როგორც ჩანს, ერთი პარლამენტი და ერთ რომელსამე ქალაქში, ნამდვილად ცოტაა ისეთი გველეშაპის დასაფრთხობად, როგორიც რუსეთია, მეორეც, გასაკეთებელი რახან კიდევ ბევრია, პარლამენტის საზაფხულო არდადეგები ნამდვილად არ ივარგებს, ბევრ გასაკეთებელ საქმესაც ხელი მოაკლდება და არდადეგე-



ბის დღეებში გველეშაპი რუსეთიც თავს ლაღად იგრძნობს! სწორედ ამიტომ გამიჩნდა აზრი ჩვენი პარლამენტის მუდმივი, განუწყვეტელი მუშაობის შესახებ, მაგრამ ზაფხული ზაფხულია და, ჰაერის კონდიცირების მიუხედავად, ქუთაისურ პაპანაქებაში მაინც გაძნელდება გონებრივად დაძაბული პარლამენტური შრომა.

ამიტომ ჩემი წინადადებაა, რომ სადმე მთიან გრილ ადგილას ავაშენოთ კიდევ ერთი, ანუ მეორე პარლამენტის შენობა (რახან ხარჯია, ხარჯი იყოს!ძ, აი თუნდაც სტეფანწმინდაში, სადაც თავზარდასაცემად რუსეთის თვალთახედვაშიც უფრო უკეთესად მოვექცევით და ჩვენი პარლამენტარების მუშაობაც ბევრად ნაყოფიერი გახდება (მოგეხსენებათ, ბუნებრივ სიგრილეს, ხელოვნურისგან განსხვავებით, სულ სხვა ღალიან-ბარაქიანი ძალა აქვს!ძ

თანაც კიდევ ეს ჩვენი გავარდისფერებული, არნახულად რეფორმატორული საქართველო მსოფლიოში პირველი ორპარლამენტიანი ქვეყანა იქნება. საზაფხულო პარლამენტიც გვექნება და საზამთროც!..

მერე ნახოს ხახის გაშრობა ნაციონალთაგან გაბითურებულმა ამ ჩვენმა ავად მოჩალიჩე ოპოზიციამ, რომელსაც უკვე ქუთაისიდან სტეფანწმინდაში და სტეფანწმინდიდან ქუთაისში მოუწევს სირბილი საမიტინგოდ და სააქციოდ...

ხუმრობის ხასიათზე დამდგარი პრეზიდენტი სააკაშვილი კი დროდადრო, როცა საზღვარგარეთ არ იქნება სანებივროდ, ვარდისფერი ვერტმფრენიდან ჩამოხედავს ხოლმე ამ სტეფანწმინდა-ქუთაისის აღმართ-დაღმართიან გზაზე ამაოდ გადებულ ჩვენს ხახაგამშრალ ოპოზიციას...

გურამ წიკლაური

**უბერებელი ლექსი**

# „მე, კიდევ ერთი სიკვდილმისჯილი“...

**21 ივნისს რუსთაველის თეატრის გადაჭედილ დარბაზში გაიმართა თანამედროვეობის გამორჩეული პოეტის რეზო ამაშუკელის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო.**

მე ნამდვილად ვერ გამოვდგები ბატონი რეზოს პოეზიის პროფესიულ დონეზე შემფასებლად, რადგანაც ქართული ლექსის მხოლოდ მოყვარული და დამფასებელი ვარ. ამიტომაც ქვემოთ შევეცდები, იმ რეზო ამაშუკელზე ვისაუბრო, რომელსაც, მგონია, რომ უფრო კარგად ვიცნობ, ანუ რეზო ამაშუკელზე, როგორც კაცზე, როგორც მოქალაქეზე, როგორც გულანთებულ მამულიშვილზე. იქიდან გამომდინარე, რომ ბოლო რამდენიმე წელიწადია, მასთან მეგობრობის ბედნიერება მარგუნა არსთაგამრიგემ. უფრო მეტიც, არცთუ იშვიათად გავმხდარვარ მის დიდ საქმაკაცოში მამაპაპური, ქართული პუროფის მონაწილეც, რის დროსაც ხშირად მრგებია ის ბედნიერება და, აქედან გამომდინარე, სიამაყეც მწვევია იმის გამო, რასაც გამორჩეულ, ღვაწლმოსილ ქართველებთან „შეჭიქება“ უნდა იწვევდეს ყველა ნორმალურ ადამიანში, რომელთა ჩამოთვლას არ ვაპირებ, რადგანაც მეშინია, რომ ვინმე არ გამომრჩეს. ამიტომ იმასღა დავსძენ მხოლოდ, რომ მათ შორის ახალგაზრდებიც არიან და ძველებიც, უბრალო „ქუჩის ბიჭებიც“ (ესეც ერთი, არცთუ უმნიშვნელო შტრიხი ბატონი რეზოს პიროვნებისაძ და კულტურისა თუ ხელოვნების კორიფეები...

ძნელიც არის და ადვილიც ამ „ხორკლიან“, პირში მთქმელ კაცთან ურთიერთობა. ამიტომაც რეზო ამაშუკელი ან ძლიერ უყვართ, ან პირიქით. მესამე, ანუ „სულერთია“, უფრო მოდურად თუ ვიტყვით, „იგნორი“ მის მიმართ უბრალოდ არ არსებობს. და რადგან მე რომელ კატეგორიას ვეკუთვნი, საიდუმლო არ არის, ქვემოთაც სიყვარულით გავაგრძელებ საუბარს. სიყვარული კი ხომ სუბიექტურია და აქედან, შეიძლება, ტენდენციურადაც მოეჩვენოს მავანს ზემოთ ნათქვამი, რაც ნაკლებად მაღელვებს...

დარწმუნებული ვარ, რომ ყველა, ვინც მივიდა იმ საღამოს რუსთაველის თეატრში, ელოდა, რომ ეს არ იქნებოდა უბრალოდ პოეზიის საღამო და ბატონი რეზო მოახერხებდა საზოგადოების კიდევ ერთხელ შოკირებას (ამ სიტყვის პოზიტიური გაგებითძ, როგორც ეს არაერთხელ უქნია პრესით თუ ტელევიზიით და აკი არც შემცდარან!

საღამო დაიწყო იმით, რომ ბატონმა რეზომ განაცხადა — **„დღეიდან ჩემთვის 26 მაისი ველარასოდეს იქნება დამოუკიდებლობის დღეო“** და წამოვიდა სცენიდან ჭეშმარიტი პოეზიის ნიაღვარი. თითქმის ორი საათი კითხულობდა „ბებერი“ პოეტი საკუთარ, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ შედევრებს, რასაც კლასიკური ჯაზის ფონი უხდებოდა ძალიან. და ერთხელაც, როცა მაყურებელმა მუსიკის რიტმს ააყოლა მორიგი აპლოდისმენტები, რითიც აშკარად



ითხოვდა პოეტისგან როიალთან მისვლას (ბატონი რეზო ბრწყინვალედ უკრავსძ, როიალთან არა, მაგრამ — გააგრძელე ეგ თემაო, ხმის რეჟისორს მიმართა და იმანაც გააგრძელა, ხმას აუწია და პოეტმა ისეთი სიმღერა შეასრულა ექსპრომტად, რომ უნებურად გამახსენდა „ნიჭი, ძამიკო, ნიჭიო!“ — ვისაც ერთხელ მაინც უნახავს და მოუსმენია, როგორ უკრავს და მღერის ბატონი რეზო, დამეთანხმება, რომ არა ღვთისგან „დავალებული“ პოეტობა, რეზო ამაშუკელი არანაკლები მუსიკოსიც შეიძლებოდა ყოფილიყო...

ეჰ, მოკლედ რომ ითქვას, ის რაც იმ საღამოს რუსთაველის თეატრში ხდებოდა, კაცს პირადად უნდა გენახა, რადგანაც არა თუ საგაზეთო წერილით, ტელევიზიითაც (რომლებიც, რა თქმა უნდა, არ იყვნენ. მხოლოდ „მაესტროს“ კამერა დავლანდე, რომელმაც ერთი-ორი კადრი გადაიღო, ხოლო ნაციონალური არხები მხოლოდ ზუმბა-რუმბა, ცუმპა-რუმპასთვის იცლიან ხოლმეძ გაჭირდებოდა იმ ატმოსფეროს, აურის გადმოცემა, რომელიც სუფევდა!

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს უფრო საპროტესტო აქციას ჰგავდა, ვიდრე პოეზიის საღამოს, რადგანაც თითოეული სტრიქონი, პოეტის მიერ ნათქვამი, საოცრად ეხმიანებოდა უზნეობის, არაკაცობის ზეობით „ანთხლეულ“ საქართველოს.

დრო, დრო აღნიშნეო! — უთქვამს გალაკტიონს და თუ მხატვრული ნაწარმოების უმთავრესი დანიშნულება და მიზანი თანამედროვე დროის ასახვაა, ამ მხრივ ძნელად, რომ ბატონი რეზოს ბოლო ლექსთა კრებულს — „სისხლში ჩამხრჩვალი ვარდები“, რამე შეედაროს პოსტრევოლუციურ საქართველოში აქამდე ქმნილი. აღარაფერს ვიტყვი პოეტის სტილზე, ხელწერაზე, ლექსის სიმფონიაზე, ძარღვიან რითმაზე, რომელიც შეუძლებელია, რომ სხვაში აგერიოს.

აკი თავადვე უწოდა ხსენებულ კრებულს ამ ხელისუფლების განაჩენი, საბრალდებო დასკვნა. თუმცა რომელი პროკურორი, ან მოსამართლეა, მაგრამ ერთი რამ ნაღდია — სხვა რამ საბუთი რომც არაფერი გადაურჩეს ჟამთა სიავეს, „სისხლში ჩამხრჩვალი ვარდებითაც“ გაიგებდა ჩვენი შთამომავლობა, თუ როგორ „ანთხლეულ“ საქართველოში ვცხოვრობდით მათი მამა-პაპანი და რას გადავურჩით...

იდგა სცენაზე პოეტი და მოდიოდა განრისხებული „ლექსი მეწყერი“, და ნუ დამიწყებენ დანამუსებას ჩვენში ბოლო დროს ერთობ მომრავლებული მორალისტები — ეს როგორ შეიძლება, სიძულვილი და მრისხანება ხომ ქვენა გრძნობებიაო! და ამიტომ არ ეგების სიყვარულის გვერდით იმათი ხსენება! იმიტომ რომ თავად ღმერთიც ხომ სიყვარულია, რომელიც სახარებაში გვასწავლის, „გიყვარდეს მტერი შენი, ვითარცა თავი თვისი“ - ვერაფრით მივიღებ მსგავს შეგონებას...

ჯერ ერთი იმიტომ, რომ, ჩემი ღრმა რწმენით, სახარებაში საუბარი პირად მტერზეა, რისი მიღებაც, ნებისყოფის დაძაბვით, მაგრამ მაინც შეიძლება. ხოლო, როდესაც საქმე ქვეყნის მტრებს შეეხება, მათ მიმართ სიძულვილი და მრისხანება, ისეთივე ბუნებრივი, უფრო მეტიც, აუცილებელი მგონია, როგორც იგივე ქვეყნის, სამშობლოს მიმართ სიყვარული, რის ნაკლებობასაც ვერავინ დასწამებს, წელთა სიმრავლით ოდნავ მოტეხილ, მაგრამ ვერგატეხილ რეზო ამაშუკელს დავუტოვოთ უფლება, რომ სამშობლოს სიყვარულთან ერთად, არ უყვარდეს (რასაც არც მალავსძ ის, ვინც სიყვარულის ღირსი არ არის...

ანუ მტრად ქცეული შინაურები, რომელთა პერსონიფიცირება არ მომხდარა იმ საღამოს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაყურებელი, მსმენელი, ისედაც კარგად ხვდებოდა, თუ ვის გულისხმობდა პოეტი ცალკეულ ლექსსა თუ სტრიქონში.

ალბათ, ამიტომაც საღამოს დასაწყისშივე გადაუხადა რა მადლობა მისვლისთვის დამსწრე საზოგადოებას, იქვე დასძინა ნახევრად ხუმრობით — **თუ ვინმეს გეუხერხულებათ, რასაც ვამბობ და ვიტყვი, შეგიძლიათ, ჩუმად ადგეთ და წახვიდეთ, არ მეწყინებაო...**

როგორც იტყვიან, გამგებმა გაიგო და ფეხიც არავის მოუცვლია, ხოლო როდესაც საღამოს დასასრულ ფეხზე ამდგარმა დარბაზმა ოვაცია მოუწყო დამაშვრალ პოეტს, მან ყურადღების მიპყრობის ნიშნად მარჯვენა ზეაღმართა და...

**„როსტომ-ხანიც გჯობს, გარყვნილო,**
**— ძუკნა ხარ, არა ხვადიო!..**
**როდემდე უნდა აყვირო**
**ეს ხალხი — წადი, წადიო?!**
**პირში გაფურთხებს ქვეყანა:**
**— გადაეთრიე, წადიო!**
**მეც წავალ, აღარ დავუცდი,**
**სავსე ქუჩებს და სტადიონს...**
**სამ მარცვალს მაინც დავტოვებ — ლალს,**
**მარგალიტს და სარდიონს!“**

დღეს, 24 ივნისს, ბატონ რეზო ამაშუკელს, როგორც იტყვიან, კალენდარულად შეუსრულდა 75 წელი. იმ საღამოს კი ნახევრად ხუმრობით ბრძანა — **რა კარგია, რომ ვიცი, მეტს ამისთანა საღამოს ველარ გავმართავო...**

ფუი, ეშმაკს, ბატონო რეზო! სულითა და გულით გილოცავთ იუბილეს, თქვენც და ჩემს ქვეყანასაც ვუსურვებ, კიდევ დიდხანს არ მოჰკლებოდეს რეზო ამაშუკელის ზოგჯერ მჭახე, მაგრამ ყოველთვის ალალი, გულიდან ამოსული შეძახილი!

**თქვენს ლექსებში ბოლნისის ლომებიც გაგითლია, თქვენს კაცობას კი, მაინც თქვენი საყვარელი თბილისის ქუჩების განუმეორებელი სურნელი დაჰკრავს!**

**მრავალჟამიერ, ბატონო რეზო, მრავალჟამიერ!..**

დავით მხეიძე

**ანტიქართულობის ახალი ტალღა**

# სომხეთის ეკლესიამ საქართველოს წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობა“ გამოაცხადა?!

**სომხეთის ეკლესიამ საქართველოს წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობა“ გამოაცხადა. ამ სათაურით აქვეყნებს აზერბაიჯანული გამოცემა „ვესტი.აზ“ სტატიას, რომელიც სრულიად სომეხთა პატრიარქის გარეგინ II-ის საქართველოში ვიზიტს ეხება.**

**„ნამდვილად არ გაუმართლა იმ ხალხებს, რომელთა მეზობლები „მრავალტანჯული“ სომხები აღმოჩნდნენ. მათ ხან სომხების ტერიტორიული პრეტენზიების და კულტურული პლაგიატის თავხედური თავდასხმების მოგერიება უწევთ და ხანაც სომხური ეკლესიის ექსპანსიის მოგერიება. და თუ ადრე ყველაზე მეტი დარტყმები აზერბაიჯანისა და თურქეთის მიმართულებით იყო, ამჟამად უკვე სომხების თავდასხმის ობიექტი საქართველო გახდა, რომელსაც ეჩმიაძინმა ნამდვილი საეკლესიო ომი გამოუცხადა“,** — ნათქვამია სტატიის დასაწყისში.

სტატიაში ნათქვამია, რომ სრულიად სომეხთა პატრიარქის გარეგინ II-ის საქართველოში ვიზიტის დროს უნდა ხელმოწერილიყო სომხური და ქართული ეკლესიების ერთობლივი კომუნიკე პარიტეტულ საწყისებზე საქართველოში სომხური (გრიგორიანულიძ, ხოლო სომხეთში ქართული (დიოფიზიტურიძ ტაძრების გახსნის შესახებ.

**„თუმცა სრულიად სომეხთა კათოლიკოსმა საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პატრიარქთან ილია II-სთან შეხვედრის დროს საქართველოში სომხური ეკლესიებისათვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება და საქართველოში 6 უმოქმედო სომხური ტაძრის სომხეთისათვის გადაცემა მოითხოვა. ასევე ზომების მიღებაზეც გაამახვილა ყურადღება მათი შენარჩუნებისათვის“,** — ნათქვამია სტატიაში.

ამის საპასუხოდ, **„ქართულმა მხარემ სომხეთში არსებული 5 ქართული ეკლესია-მონასტრის საკითხი დააყენა, კერძოდ, ქართული ტაძრებისა, რომლებიც ლორეს ოლქში მდებარეობენ“.**

**„იმასთან დაკავშირებით, რომ**



**სომხურმა მხარემ უარი განაცხადა, სომხეთში არსებული ქართული ტაძრებისათვის იგივე სტატუსის მინიჭებაზე, რომელიც მას თავად სურს საქართველოში არსებული სომხური ტაძრებისათვის, კომუნიკეს ხელმოწერა ჩაიშალა და გარეგინ II-მ განაწყენებულმა დატოვა საქართველო თავისი ვიზიტის დასრულებამდე ორი დღით ადრე“,** — ნათქვამია სტატიაში და იქვე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვებია მოყვანილი:

**„გარეგინ II ახალგაზრდა ადამიანია, რომელსაც მეტი გამოცდილება სჭირდება. სომხებს საქართველოში ტაძრების გახსნა სურთ, მაშინ სომხეთშიც უნდა გაიხსნას ქართული ტაძრები. მინდა ვთქვა, რომ ის ჭკვიანი ადამიანია, მაგრამ სურს, რომ ყველაფერი მალე მოხდეს, ასე კი არ გამოდის. მე ვუთხარი მას, რომ დიდი გამოცდილება მაქვს, 33-წლიანი და ამიტომაც სიმშვიდე ყველაფერს სჯობს. იყო საუბარი ურთიერთობებზე. სომხებს საქართველოში მეტი ტაძრის გახსნა სურთ, ჩვენ შევთავაზეთ მათ, რომ ჩვენს შორის არსებობდეს ასეთი შეთანხმება, რომ თუ აქ რამე გაკეთდება სომხური, იგივე უნდა გაკეთდეს სომხეთში ქართული. საქართველოს ეკლესია ყველასთან თანამშრომლობისათვის მზადაა, მაგრამ საქართველოს ეკლესია არ დაუშვებს, რომ დამცირებული იყოს ჩვენი ერი და ჩვენი ქვეყანა“,** — ბრძანა საქართველოს პატრიარქმა.

**„საქართველოს პატრიარქის სიტყვებმა სომხეთში რისხვა გამოიწვია. სომხურ მედიაში გაჩაღდა კამპანია ქართული ეკლესიის და პირადად საქართველოს პატრიარქის წინააღმდეგ. ანტიქართულ კამპანიას სათავეში ეჩმიაძინის კანცელარიის უფროსი არშაკ ხაჩატრიანი უდგას, რომელიც გარეგინ II-ეს საქართველოში ახლდა“,** — წერს აზერბაიჯანული მედია და ხაჩატრიანის სიტყვები მოჰყავს.

**„ქართული მხარის არაკონსტრუქციული პოზიციის გამო კათოლიკოსის ვიზიტი ნორაშენისა და სურბ ნშანის ტაძრებში ვერ განხორციელდა. ბოლო დროს ქართული ეკლესია მოუთმენლობასა და რადიკალიზმს ავლენს სხვა ეკლესიებისა და რელიგიური ორგანიზაციების მიმართ. გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ქართული ეკლესია ცდილობს, ეკლესიათაშორისი ურთიერთობები საბაზრო ურთიერთობებად გადააქციოს“,** — აცხადებს ხაჩატრიანი.

### განცხადება

# „საქართველო – 2011. ვინ არის დამნაშავე, რა და როგორ ვაკეთოთ?“

**საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი ალექსანდრე ებრალიძე საქართველოში არსებულ ვითარებას გამოეხმაურა. გთავაზობთ მის განცხადებას უცვლელად:**

**„რას წარმოადგენს საქართველო დღეს, როდესაც ქვეყანაში გაცხარებული კამათი მიმდინარეობს იმასთან დაკავშირებით, რომ ხალხის სისხლი კიდევ ერთხელ დაიღვარა თბილისის ქუჩებსა და მოედნებზე?**

**სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველო დღემდე ვერ ჩამოყალიბდა სრულყოფილ სახელმწიფოდ.**

**ის არასრულყოფილია იმის გამო, რომ 20 წლის დამოუკიდებლობის მანძილზე ვერ ეღირსა ხელისუფლებას, რომელსაც ხალხის ნდობა ექნებოდა. განადგურებულია მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, ქვეყანას აქვს უდიდესი საგარეო ვალი, ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გაღატაკებულია. მიუხედავად ხელისუფლების გამუდმებული მტკიცებისა, არ არსებობს ეკონომიკის აღორძინების რეალური პერსპექტივები. ქვეყანას არ აქვს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა.**

ყველა ამ ფაქტორმა გამოიწვია ქვეყნის მოსახლეობის მასობრივი გადინება სხვა ქვეყნებში, რაც, თუ გაგრძელდა, იქამდე მიგვიყვანს, რომ საქართველოში უბრალოდ აღარ დარჩება ქართველი.

დაბოლოს, ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვის ფონზე მმართველი ძალა ავლენს უნიათობას, არ აქვს სურვილი და არ შესწევს უნარი, გამოასწოროს ტრაგიკული სიტუაცია.

**დღეს მთავარი კითხვებია — ვინ არის დამნაშავე? რა უნდა გავაკეთოთ? როგორ უნდა გავაკეთოთ?**

ვინ არის დამნაშავე? ხელისუფლება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და მასთან დაახლოებული პირების სახით, ასევე ოპოზიციის ყველაზე ამბიციური ლიდერები, რომლებმაც პირადი ინტერესები საზოგადოების ინტერესებზე მაღლა დააყენეს და, შედეგად, ხალხის ნდობა და სიმპათია დაკარგეს.

რა უნდა გავაკეთოთ? უნდა ვაწარმოოთ რეალური პოლიტიკური ბრძოლა; მოვემზადოთ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, დავაგროვოთ ენერგია და რესურსები გამარჯვებისთვის; გავაერთიანოთ ოპოზიციური ძალები და წამოვაყენოთ საერთო ლიდერი, რომელსაც ექნება უნარი, დიალოგის გზით შეთანხმებას მიაღწიოს წამყვან გეოპოლიტიკურ ცენტრებთან და იმავდროულად, განახორციელოს პოლიტიკა, რომელიც საქართველოს ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება.

**როგორ უნდა გავაკეთოთ?**

**1. ოპოზიციის მხრიდან პოლიტიკური ბრძოლის ყველა მონაწილემ ნათლად უნდა გაიგოს, რომ ერთიანი მთავარი მიზანია სააკაშვილის ხელისუფლებისა და მისი გუნდის გადადგომა.**

**2. უნდა შესრულდეს ხალხის მოთხოვნა — შეიქმნას ერთიანი ოპოზიცია. უნდა გავთავისუფლდეთ საკუთარი ამბიციებისაგან, დავივიწყოთ ძველი უთანხმოება და წყენა. სხვაგვარად, დამარცხება გარდაუვალია, ეს კი საქართველოს დამარცხების ტოლფასი იქნება.**

**3. უნდა წამოვაყენოთ საერთო ლიდერი. საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლა არ ნიშნავს, რომ ხელისუფლება თავმოყრილი იქნება ულიმლამო დეპუტატთა ჯგუფის ხელში. საქართველოს, როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანას, ისტორიის გადამწყვეტ მომენტში ლიდერი სჭირდება.**

ცალკე პრობლემაა ქართული დიასპორები საზღვარგარეთ. სამშობლოში ღირსეული სამსახურისა და პერსპექტივის უქონლობის გამო მილიონნახევარი სხვა ქვეყნებში გადახვეწილი ჩვენი თანამემამულე ყოველწლიურად საქართველოში თავის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს უცხოეთში მძიმე შრომით ნაშოვნ ასობით მილიონ რუბლს, დოლარს თუ ევროს უგზავნის. როდესაც სააკაშვილი საზღვარგარეთიდან ფინანსურ ნაკადებზე საუბრობს, შიშით მალავს იმ ფაქტს, რომ მხოლოდ საზღვარგარეთ მყოფი თანამემამულეების დახმარებით შეუძლია საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, შიმშილით სიკვდილს გადაურჩეს. ამიტომაც, ქართულ დიასპორებს უნდა ჰქონდეთ ხმის უფლება ისტორიული სამშობლოს მომავლის გადაწყვეტის საქმეში.



ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა ადამიანმა, რომელიც წარმოშობით საქართველოდანაა, მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა სურვილის შემთხვევაში. საქართველოსთვის დადგა ჟამი, მთელი მსოფლიოდან შეკრიბოს თავისი შვილები, როგორც ამას მრავალი ქვეყანა აკეთებს.

თავის მხრივ, ქართული დიასპორებიც ვალდებული არიან, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მომავალ საარჩევნო პროცესებში, აამოქმედონ თავიანთი სოლიდური შესაძლებლობები და ხმა მისცენ გაერთიანებულ ოპოზიციას.

ჩვენ ყველას, ვინც საქართველოში ცხოვრების გაუმჯობესებას ვესწრაფვით მთელი ხალხის საკეთილდღეოდ, ერთნაირად გვეხება იესო ქრისტეს გაფრთხილება: „ყოველი სამეფო, თავის თავის წინააღმდეგ დაყოფილი, გაუდაბურდება, და ყოველი ქალაქი და სახლი, რომელიც დაიყოფა თავის თავის წინააღმდეგ, ვერ გაძლებს(მათე. 12:25ძ“.

აქედან გამომდინარე, დღეს ჩვენ ახალი ინიციატივით გამოვდივართ:

**დავაარსოთ სახალხო ერთობის ფორუმი, რომლის მიზანი იქნება საქართველოს ოპოზიციური ძალებისა და ქართული დიასპორების გასაერთიანებლად წინადადებების შემუშავება, პროგრამის ძირითადი მიმართულებების, მოქმედების ტაქტიკისა და მომავალი საქართველოსთვის სხვა აქტუალური საკითხების განხილვა. ფორუმის მუშაობაში მონაწილეობა შეუძლიათ ნებისმიერი პოლიტიკური ძალების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ასევე საზოგადო მოღვაწეებს, რომლებსაც აღელვებთ ჩვენი საერთო სამშობლოს მომავალი. გვესმის, რომ ძალიან რთულ საქმეს გთავაზობთ. საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებობს სხვადასხვა ოპოზიციური გაერთიანებები („რვიანი“, სახალხო კრება, საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესი და სხვა). მრავალ მათგანს ერთმანეთში შეურიგებელი პოლემიკა აქვს, მათი ლიდერები უარს ამბობენ ნებისმიერ ინიციატივაზე, თუ ისინი სხვისგან მოდის. ჩვენ პირდაპირ ვამბობთ — ერთი ნაბიჯით უნდა დავშორდეთ იმას, რაც გვყოფს, რათა წინ ვიაროთ გაერთიანებისაკენ! ისიც კმარა, რომ საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა ერთმანეთს წაგვკიდოს. ნუ გავახარებთ მას ჩვენი გაუთავებელი უთანხმოებით. სრულიად ნათელია, რომ ოპოზიციონერებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც სიტყვით სააკაშვილს აკრიტიკებენ, სინამდვილეში კი მის ნებას ასრულებენ. ნუ შევუშინდებით ამას, ჩვენი საერთო საქმის სიმართლე, რომელსაც ხალხის მხარდაჭერა აქვს, მათაც აიძულებს, ხელი აიღონ ასეთ მცდარ მოქმედებაზე.**

**რასაკვირველია, კარგი იქნებოდა სახალხო ერთობის ფორუმი ჩვენს ძველ დედაქალაქ მცხეთაში, საქართველოს სულიერ ცენტრში შეგვეკრიბა, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ იგი მთლიანად სააკაშვილს დავუქვემდებაროთ — დიასპორებისა და საერთაშორისო დამკვირვებლების წარმომადგენლებს არ შეუშვებენ ქვეყანაში, ხოლო თვითონ ფორუმი პროვოკაციების, დაშინების, მოსმენისა და თვალთვალის ატმოსფეროში წარიმართება.**

**მიზანშეწონილი იქნება ფორუმის ჩატარება ვენაში, სტრასბურგში ან ბრიუსელში, სადაც შეიძლება ევროპის საზოგადოების უშუალო მხარდაჭერის იმედი ვიქონიოთ. საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესი მზადაა, თავის თავზე აიღოს საორგანიზაციო საკითხები.**

**საქართველოს სიყვარულითა და ურთიერთპატივისცემით ნაბიჯ-ნაბიჯ ვივლით წინ სახალხო ერთობის ფორუმისაკენ, საერთო გადაწყვეტილებების მიღებისა და საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებისაკენ!**

### მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია!

## ჯონდი ბაღათურია:

# თბილისის სხვა დედაქალაქით ჩანაცვლება ხელისუფლებასთან დაახლოებული მაჟორიტარის ხათრით არ უნდა ხდებოდეს



**პარლამენტის ქუთაისში გადატანა, სასამართლო სისტემა და საკანონმდებლო ცვლილებები საზოგადოებაში დიდ ვნებათაღელვას იწვევს. ამ თემებზე „პრაიმ-ტაიმის“ პრეს კლუბში „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამაც ისაუბრა. „ამ საკითხზე ინიციატორებისგან კონკრეტული არგუმენტი ვერ მოვისმინე, — აღნიშნა მან, — არარაციონალურია მათი გათვლები ვითომ დასაქმებასთან დაკავშირებით. იგივე თანხა, რაც პარლამენტის აშენებას სჭირდება სოფლის მეურნეობის, ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესებას თუ სხვას, რომ მოხმარდეს, რეალურ სამუშაო ადგილებს მივიღებდით. თბილისი სტრატეგიული, ეკონომიკური მნიშვნელობის დედაქალაქია და მისი ჩანაცვლება ხელისუფლებასთან დაახლოებული მაჟორიტარის ხათრით ან რომელიმე ქალაქისადმი მეტი სიყვარულით არ უნდა ხდებოდეს“.**

ჯონდი ბაღათურიამ საკანონმდებლო ცვლილებების „ჭრაკერვას“, მაგალითად, გუშინწინ მიღებულ კანონს – პოლიციაზე ან ხელისუფლების წარმომადგენელზე ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მკაცრად დასჯას, — ნაცმოძრაობის ვიწროპარტიულ ინტერესებზე მორგება უწოდა: **„ყველა აქცია ახალი საკანონმდებლო ინიციატივის საფუძველი ხდება, ამით ისინი ებრძვიან შედეგს და არა მიზეზს. ხელისუფლება თვითონ გახდა ქვეყნის განვითარების შემფერხებელი. ეს არის თვითიზოლაცია. სვლა დემოკრატიიდან, უკან ფეოდალიზმისკენ. ინტელექტუალური შეცდომა, რაც საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის უფსკრულს უფრო გააღრმავებს“,** — განაცხადა „ქართული დასის“ ლიდერმა. მან იუსტიციის სახლს XXI საუკუნის პროექტი, ხოლო ახლადმიღებული კანონი შუასაუკუნეების ფეოდალიზმად მოიხსენია.

„ქართული დასის“ ლიდერმა სასამართლო სისტემა 37-იანი წლების რეპრესიებს შეადარა, როდესაც ადამიანები თავს ვერ იცავდნენ, და ათეულობით ათასი საქმიდან მხოლოდ, ცხრა მართლდებოდა და ამ კუთხით სახალხო დამცველისთვის ორი რამის უფლების მიცემა მოითხოვა: ადამიანის უფლებათა დარღვევისას ავტომატურად აღძრას სისხლის სამართლის საქმე და ხელისუფლებაზე სრულფასოვანი მონიტორინგი განახორციელდეს.

ჯონდი ბაღათურიამ ასევე გააკრიტიკა ოპოზიციური „რვიანი“ და მას გარკვეული პარტიების ინტერესებზე მორგებული გაერთიანება უწოდა. მისი კრიტიკის ობიექტი გახდნენ ასევე ის პარტიები, რომლებიც ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგებში 1 პროცენტი აქვთ და ისინი ჩამორჩენილ მოსწავლეებს შეადარა.

**„ქართული დასის“ ლიდერმა სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა, აქტიურ მუშაობას პარტია შემოდგომაზე შეუდგება“,** — დასძინა მან.

**გულნაზ გახარია**

### ინფორმაცია

## ჩვენი ვალები 300 მილიონით გაიზარდა

**თანხა მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში გამოიყო და ის დედაქალაქსა და საქართველოს სხვა დიდ ქალაქებში პრიორიტეტული სატრანსპორტო პროექტების განხორციელებას მოხმარდება.**



**რა სახის პროექტებზეა საუბარი, აღნიშნულის პრეზენტაცია სასტუმრო „რედისონში“ გაიმართება, რომელსაც თბილისის მერი გიგი უგულავა დაესწრება და მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართავს.**

**როგორც დედაქალაქის მერიიდან იტყობინებიან, თბილისში პრიორიტეტული სატრანსპორტო პროექტების შერჩევა ქალაქის ტრანსპორტის განვითარების გეგმის თანახმად მიმდინარეობს, რომლის შემუშავებაც 2010-2011 წლებში აზიის განვითარების ბანკის გრანტით დაფინანსდა. გეგმის მიზანია, ყველა ის ფაქტორი გამოავლინოს, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს ტრანსპორტის განვითარებას და შეიმუშაოს შესაბამისი სატრანსპორტო გადაწყვეტილებები.**

**აზიის განვითარების ბანკსა და თბილისის მერიას შორის აქტიური კონსულტაციების შედეგად განისაზღვრა იმ პროექტების ნუსხაც, რომელიც ბანკის მიერ ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება. ესენია: გორგასლის გვირაბი, მეტრო „უნივერსიტეტის“ სადგურის დასრულება (ობიექტის მშენებლობა 2012 წელს განახლდება და პროექტის განხორციელება ორ წელიწადში დასრულდება), თბილისი-რუსთავის გზის მოდერნიზაცია და სამანქანე ხიდი მდინარე მტკვარზე, რომელიც ვეფხისა და მოყმის მიმდებარე ტერიტორიას დიდუბესთან დააკავშირებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

ვუბრუნდებით დაბეჭდილს


ერთ-ერთი მესაკუთრე ლაურა ღაჭავა – სააქციო საზოგადოება „პირიმზე“. ვეკუას ქ. №3


ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შენობა, მესაკუთრე შპს „კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფი“, მელიქიშვილის ქ.№10


ბავშვთა საავადმყოფოს შენობა, მესაკუთრე შპს „კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფი“, მელიქიშვილის ქ. №5

# კოდუების კლანი

„საქართველოს რესპუბლიკის“ 9 ივნისის ნომერში დაბეჭდილ სტატიას „დაუსჯელობით აყვავებულთა ზღვარგადასული თავგასულობა“ მკითხველთა სოლიდური გამოძახილი მოჰყვა. გამოითქვა აზრი მსგავს შემთხვევათა დაუსჯელობის, ელიტური კორუფციის არსებობისა და არსებული კლანური დაჯგუფებების აუცილებელი მხილების შესახებ. მართლაც, ხალხს მოენატრა სიმართლის გაგონება, ბევრს გული მოფხანა, ნაწილმა სხვადასხვა მსგავსი ჟურნალისტური გამოძიების გაგრძელება ისურვა.

დარეკეს კოდუების კლანის მიერ შევიწროებულმა და დაზარალებულმა ადამიანებმა, მაგრამ ვინაობის გამხელა ვერ გაბედეს და კონკრეტული ფაქტების დასახელებისგან თავი შეიკავეს. ისინი იმდენად არიან დაშინებულნი, რომ საჯარო გამოსვლებისგან თავს იკავებენ. თურმე რამდენი ადამიანი ჰყავს ამ ოჯახს გაწარებული, მაგრამ თავს კვლავ არხეინად გრძნობენ. ისინი საკმაოდ დიდი ქონების მფლობელნი არიან და უძრავი ქონების, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტურიზმის სფეროში სერიოზული გავლენა აქვთ. ქალბატონი ლაურა ღაჭავა კი „ყველაზე მდიდარ ქართველთა საიტზე“ 60 მილიონი დოლარით, 80-კაციან სიაში 52 ადგილზე იმყოფება. დავით კოდუა სამკურნალო ცენტრს ხელმძღვანელობს, გიორგი კოდუა ავიაბიზნესში იყო, ირაკლი კოდუა შინაგან საქმეთა სამინისტროს გავლენიანი პირია. მსგავსი რამ მხოლოდ იტალიურ და ამერიკულ ფილმებში ნანახს თუ შეედრება. თუმცა იქ სახელმწიფო სტრუქტურებში მათი ოჯახის წევრებს ვერ ნახავთ. საქართველოში კი რეალურად უფრო ძლიერი დაჯგუფება წარმოიშვა, რომელსაც პასუხს არავინ სთხოვს.

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ ამოდენა ქონების პატრონი ოჯახი საოცრად წუწურაქი აღმოჩნდა. ინტერნეტში ბევრი ვეძიე მათი სასიკეთო საქმეები, მაგრამ ოჯახის თითოეულ წევრზე უმეტესად უარყოფითი ინფორმაციაა არსებობს. მათ რაიმე დიდი საქველმოქმედო აქცია არ ჩაუტარებიათ, გაჭირვებულ მოსახლეობას არ დახმარებიან, ქვეყნისთვის სასარგებლო საქმე არ უკეთებიათ.

დავით კოდუას შესახებ ინტერნეტში სასაცილოდ გამოიყურება მის მიერ თბილისის 162-ე საჯარო სკოლის გარემონტება (ისიც პრეზიდენტის ინიციატივას აუბა მხარი), ხანდაზმულთა პანსიონატის ბინადრებისთვის სამედიცინო აქციის ერთჯერადი ჩატარება. მისასალმებელია დეკანოზ გიორგი ჯიბუტის 9-შვილიანი ოჯახისთვის სახლის გადაცემა 2009 წლის 6 მაისს „იავნანას“ აქციის დროს. ოღონდ ამას თვითრეკლამის იერი უფრო დაჰკრავდა. უფრო მნიშვნელოვანი დავით კოდუას არაფერი გაუკეთებია, თუ არ ჩავთვლით სპორტულ ღონისძიებებში გამოჩენას. სამაგიეროდ, მისი მანქანა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიტინგის დარბევისას შეამჩნიეს. რა უნდოდა ექიმს დამრბევთა შორის?

ქალბატონ ლაურა ღაჭავას შესახებ კი სამკერვალო ფაბრიკის გახსნის მეტი დადებითი ინფორმაცია არ მოიპოვება. მან თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი დაამთავრა, შემდეგ – ხელოვნებათმცოდნეობისა და მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტებიც. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, ინტერნეტში არსებული ინფორმაციით, შავნაბადას შტაბის დირექტორად მოგვევლინა. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება მისი ბიზნესის დაწყებაც. სამწუხაროა, რომ ასეთი ინტელექტუალური პოტენციალი მან ქვეყნისთვის მამულიშვილური საქმეების კეთების ნაცვლად საზოგადოების საწინააღმდეგოდ გამოიყენა. იგი მაგონებს მწერალ გურამ ფანჯიკიძის რომან „სპირალის“ მთავარი გმირის რამაზ კორინთელის გაორებულ ცხოვრებას.

ქალბატონი ლაურა ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს: „ბიზნესს უყვარს სუფთად მუშაობა და არ უყვარს ტყუილი“. კარგი იქნებოდა დასტურად ერთი მაგალითი მაინც მოეყვანა, ვინაიდან მისი მოქმედება შპს „საქართველოს“ მოწილეებთან სწორედ საწინააღმდეგოს ამტკიცებს. კრახით დასრულდა სასტუმრო „საქართველოს“ ხუთვარსკვლავიან კომპლექსად და სამორინედ გადაკეთების გრანდიოზული პროექტი, რასაც მასმედია დიდ რეკლამას უწევდა. ამის შესახებ წინა წერილში დაწვრილებით ვისაუბრეთ.

ქალბატონ ლაურას ბიზნესი ბევრ კითხვას აღძრავს. როგორ მოხვდა ავიაბიზნესში გაუცნობიერებელი ადამიანი ბრიუსელში გაგზავნილი განაცხადით მსოფლიო საავიაციო კონფერენციაზე, თანაც „ვერცხლის დარბაზის“ წევრადაც აურჩევიათ და საქართველოს ბიზნესმენთა ორგანიზაციის ხელმძღვანელიც გამხდარა. თუ კანადის ავიაკომპანიის პრეზიდენტის დახმარებით ჩამოაყალიბა ქართული ავიაკომპანია „გაკო“, მაშინ მოსკოვიდან რა სახსრებით ჩამოიყვანა ორი ძვირადღირებული „ტუ-154“ და სხვ. ამგვარ კითხვებს რა გამოლევს.

ამჯერად საზოგადოებას გავაცნობთ ქალბატონ ლაურა ღაჭავას უძრავი ქონების ნაწილს, რაც მკითხველს მეტი ფიქრის საშუალებას მისცემს.

გუბაზ მეგრელიძე

*P. S. აქვე გთავაზობთ მოყვანილი ფაქტების დამამტკიცებელი დოკუმენტების ასლებს.*


მესაკუთრე შპს „კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფი“, ი. ჭავჭავაძის პრ. №29, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის შენობა


მესაკუთრე ლაურა ღაჭავა – სასტუმრო კახეთის გზატკეცილი №69


შპს „სქაიგეითსი“, ჭირნახულის შესახვევი №7


N 01.15.02.006.012

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია N 882010673568 - 25/06/2010 21:58:38

მომზადების თარიღი 25/06/2010 22:17:29

საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
| --- | --- | --- | --- |
| 01 | 15 | 02 | 006/012 |

მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა მელიქიშვილი, N 10

დაზუსტებული ფართობი: 2153.00 კვ.მ.


ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 253865

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B11028166

ამონაწერის მომზადების თარიღი: 21/02/2011 17:08:03

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს საქართველო

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, მელიქიშვილის 12

საიდენტიფიკაციო კოდი: 204421991

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 25/01/2001

სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი: 06/4-599


| | წილი | ანგარიშის ნომერი |
| --- | --- | --- |
| 203824031, ს/ს მასპინძელი, | 3.69000000% | 204421991-SH-00001 |
| 01018000469, გურამ აბრახამე, | 5.09000000% | 204421991-SH-00002 |
| 01036000418, თამარი აბრახამე, | 5.89000000% | 204421991-SH-00003 |
| 01008023533, თამარ დევდარიანი, | 5.89000000% | 204421991-SH-00004 |
| 01024003887, თინათინ ბაიაშვილი, | 6.08000000% | 204421991-SH-00005 |
| 01024003886, არჩილ მაჭარაშვილი, | 8.20000000% | 204421991-SH-00007 |
| 01024008053, დევი მაჭარაშვილი, | 8.20000000% | 204421991-SH-00008 |
| 01019001595, გოჩა მაცაბერიძე, | 6.16000000% | 204421991-SH-00011 |
| 01017003216, ლაურა ღაჭავა, | 50.80000000% | 204421991-SH-00015 |

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის



## ვარიაციები „აფხაზეთის დამოუკიდებლობის" თემაზე



# გია გვაზავა: აფხაზეთის აღიარებით სხვა ჩასაფრებული რეგიონები წამოყოფენ თავს და საქართველოს დაშლა დაიწყება

**აფხაზეთის** ლეგიტიმური მთავრობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **გია გვაზავა** აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე ექსპერტ მამუკა არეშიძის იდეას კატეგორიულად გმობს და აცხადებს, რომ ასეთ შემთხვევაში საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგება.

აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე ექსპერტ მამუკა არეშიძის იდეას კატეგორიულად გმობს და აცხადებს, რომ ასეთ შემთხვევაში საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგება.

„ძალიან გამიკვირდა ბატონი მამუკასგან მსგავსი ინიციატივის გაჟღერება. მისი შეხედულებები ხშირად გასაზიარებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში, ის საფუძველი, რაც მან იდეას დაუდო, მიუღებელია. მცდარი ხედვა აქვს ბატონ მამუკას: თუ საქართველო დამოუკიდებლად გამოაცხადებს თავის რეგიონს, ამით, პრაქტიკულად, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგება, რადგან სხვა არაერთი რეგიონი, რომელიც ჩასაფრებულ პოზიციაში იმყოფება, თავს წამოყოფს, მათ შორის ცხინვალი. ამ ნაბიჯით საქართველოს დაშლა დაიწყება, მით უმეტეს, რომ რუსეთში ჯერ კიდევ დგას საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოებად გაყოფის თემა. ამას მოჰყვება უკვე დაყოფილი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოების დაშლა – დასავლეთის ცალკე სამეგრელოდ, ცალკე სვანეთად და ა.შ. ერთი სიტყვით, ჩვენი ქვეყანა ეტაპობრივად გამოგვეცლება თვალსა და ხელს შუა. ამიტომ ურყევი უნდა იყოს ქვეყნის და ყველა პოლიტიკოსის პოზიცია – 100 წელიც რომ გავიდეს, მაინც განვაცხადებთ აფხაზეთზე პრეტენზიას და მაინც დაველოდებით აფხაზ ეთნოსში იმ ძალების გამოჩენას, რომლებიც შეცდომას მიხვდებიან და ჩვენთან დიალოგზე წამოვლენ", – განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს" გვაზავამ.

„მე არ მინახავს ქვეყანა, რომელიც თავის რეგიონს აძლევს დამოუკიდებლობას იმიტომ, რომ თურმე, როგორც ბატონი მამუკა ამბობს, პროცესი ჩიხშია შესული. კვიპროსის პროცესიც ჩიხშია შესული, მაგრამ ის ჯიუტად დგას თავის სიმართლეზე. 100 წელიც რომ გავიდეს, საქართველოს თავის ტერიტორიებზე პრეტენზია მაინც ექნება და როგორც კი ჩვენ მას ვცნობთ, პრაქტიკულად, დადგება ამ მიწის რუსეთთან მიერთების საკითხი. ამ პროცესს აღიარებით ვერ შევაჩერებთ. რაც შეეხება დევნილების დაბრუნებას, რომელსაც მამუკა არეშიძე აღიარების წინაპირობად ასახელებს, ისეთ ძალასთან გვაქვს საქმე, რომ ეს გამორიცხულია", – აღნიშნა გვაზავამ.

რაც შეეხება აფხაზური ეთნოსის გადარჩენას, რაც არეშიძის მიერ აღიარების გამართლების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს, გვაზავა ამ კონტექსტში ექსპერტს ეთანხმება და აცხადებს, რომ მას ასიმილაცია მართლაც ემუქრება.



# გოგი ხუციშვილი: მოლაპარაკების დაწყებამდე საქართველომ აფხაზეთის სტატუსის განხილვაზე მორატორიუმი უნდა გამოაცხადოს

კონფლიქტოლოგ **გოგი ხუციშვილის** განცხადებით, მამუკა არეშიძის პოზიცია არ არის საუკეთესო გზა პერსპექტივის მისაღებად. როგორც ხუციშვილმა „ჯი-ეიჩ-ენთან" საუბრისას განაცხადა, ყველა ექსპერტს აქვს უფლება, თავისი მოსაზრება ჰქონდეს, მაგრამ არ უნდა იყოს კონკრეტული შეთავაზება დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით.

„შეიძლება იყოს ლაპარაკი გახსნილობაზე მოლაპარაკებების გასააქტიურებლად. არ დავაყენებდი საკითხს ისე, რომ თავიდანვე მზადყოფნა გამოვხატოთ დამოუკიდებლობის ასაღიარებლად. მოლაპარაკებების პროცესში გამოიკვეთება, რა გზები გაიხსნება. უნდა იყოს გახსნილობა სხვადასხვა შესაძლებლობის განსახილველად, რაც არ ნიშნავს იმას, რომ რამეზე ვაწერთ ხელს. სხვანაირად მოლაპარაკებებს ვერ გავააქტიურებთ. ადამიანმა თავისი ვარიანტი დააფიქსირა, ამ ვარიანტის დაფიქსირება ჩემთვის ნაკლებად მისაღებია", – განაცხადა ხუციშვილმა „ჯი-ეიჩ-ენთან" საუბრისას.

მისი თქმით, იმისთვის, რომ პერსპექტივა გამოჩნდეს აღნიშნულ საკითხში, არ უნდა იყოს ლაპარაკი სტატუსზე.

„უნდა დავიწყოთ მოლაპარაკება საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენასა და ურთიერთობის შენებაზე. ამასობაში დე ფაქტო და ჩვენს ხელისუფლებებს შორის უნდა იყოს რაღაც საქმიანი რეჟიმი კომუნიკაციის თვალსაზრისით. ეს იმ დოკუმენტითაც იყო გათვალისწინებული, რომელიც საქართველოს მთავრობამ მიიღო. ამის შემდეგ გაჩნდა პროფილი „ჩართულობა" „არაღიარებასთან" ერთად. ვფიქრობ, ჩვენს პირობებში არაღიარება სწორია, მაგრამ არ გამოგვდის ჩართულობა. ვინაიდან ხელს ვუწყობთ არაღიარებას და არ გამოგვდის ჩართულობა, ეს ხელს უწყობს აღიარებას", – განაცხადა ხუციშვილმა.

მისი თქმით, საქართველომ უნდა გამოაცხადოს მორატორიუმი სტატუსის განხილვის საკითხებზე, იქამდე, სანამ მოლაპარაკებები არ დაიწყება.

# პაატა ზაქარეიშვილი: აფხაზეთის აღიარება საქართველოს ინტერესებს კი არა, უპირველესად აფხაზი ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგება



კონფლიქტოლოგ **პაატა ზაქარეიშვილის** შეფასებით, აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ მამუკა არეშიძის ინიციატივა უაზრობაა და ამით აფხაზეთი რუსეთს საბოლოოდ ჩაბარდება.

„საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე საუბარი შეიძლება დაიწყოს იმ ერთადერთი მიზნით, რომ მის უპერსპექტივობას და ამ იდეის უაზრობას მივხვდეთ. ჩვენი საზოგადოების მთავარი ტრაგედია არის ის, რომ აკრძალული თემები გვაქვს. თუ ყველაფერზე და მათ შორის ამაზეც ვისაუბრებთ, მივხვდებით, რომ ეს არის უაზრობა და ამ წინადადებას პერსპექტივა არ აქვს", – განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს" ზაქარეიშვილმა.

ის არ იზიარებს კოლეგის იმ მოსაზრებას, რომ დამოუკიდებლობის აღიარება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში პოზიტიური დინამიკის დაწყების ერთადერთი რესურსია და აცხადებს, რომ ამ მიმართულებით „ბევრი ღონისძიების გატარება შეიძლება".

„დღევანდელი გადასახედიდან მართლაც ძალიან მძიმე მდგომარეობაა, მაგრამ მის გამოსასწორებლად ბევრი ღონისძიების გატარება შეიძლება. მაგალითად, ვაღიაროთ აფხაზეთის პასპორტები საქართველოს შიდამოხმარების პასპორტებად, მივცეთ აფხაზებს ამ პასპორტებით საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე განათლების და მკურნალობის საშუალება, შემოვუშვათ ისინი ჩვენთან თავიანთი მანქანებით. ზღაპარი და მითიური აზროვნებაა ის, რომ აღნიშნულიც, გარკვეულწილად, აფხაზეთის აღიარებას ნიშნავს. ეს ასე არაა. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, გარდა იმისა, რომ შევცვალოთ კონსტიტუცია, რომელშიც წერია, რომ საქართველო არის განუყოფელი და ვიფიქროთ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე. შეიძლება ამ საკითხზე ვილაპარაკოთ, მაგრამ არ უნდა გავაკეთოთ. ჯერ სხვა ნაბიჯებია გადასადგმელი", – განმარტა „ჯი-ეიჩ-ენთან" საუბარში ზაქარეიშვილმა.

გარდა ამისა, კონფლიქტოლოგის აზრით, მამუკა არეშიძე აფხაზეთში არსებულ ვითარებას „კარგად არ უნდა იცნობდეს", რაზეც ის წინაპირობები მიუთითებს, რომელიც ექსპერტის აზრით, ქართულმა მხარემ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების სანაცვლოდ უნდა დააყენოს.

„ბატონი მამუკა ერთის მხრივ ამბობს, რომ დამოუკიდებლობის აღიარება აფხაზების გენოფონდს და მათ იდენტობას გადაარჩენს, მეორე მხრივ კი აცხადებს, რომ დამოუკიდებლობის აღიარება დევნილების დაბრუნების წინაპირობით უნდა მოხდეს. თუ რამის ეშინიათ აფხაზებს და მართლა ცეცხლივით ეშინიათ, ეს არის დევნილების დაბრუნება. ამიტომ, ისინი საშინელ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენენ ქართველებისგან მიიღონ აღიარება და ამის სანაცვლოდ გადაიხადონ დევნილების დაბრუნების საფასური. ეტყობა, ბატონმა მამუკამ კარგად არ იცის აფხაზეთში არსებული სიტუაცია და ის, რომ აფხაზებისთვის დევნილების დაბრუნებაზე საუბარიც კი მიუღებელია", – აღნიშნა კონფლიქტოლოგმა.

პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ აღიარება საქართველოს ინტერესებს კი არა, უპირველესად თავად აფხაზი ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგება, რადგან ამ გადაწყვეტილებით „აფხაზეთს საბოლოოდ ჩავაბარებთ რუსეთს, ჩვენ კი მასზე ხელებს დავიბანთ და ვიტყვით, რომ საქართველო უნიათო და უუნარო სახელმწიფოა, რომელსაც არ შესწევს უნარი საკუთარ ხალხს უპატრონოს".

„ჩვენ რომ აფხაზეთი ვაღიაროთ, მას მსოფლიოც აღიარებს, თუმცა ამის მიუხედავად, აფხაზეთი, რომელიც მიბმულია რუსეთზე, ვერასდროს იქნება დამოუკიდებელი სახელმწიფო. იქ არის რუსეთის ჯარები, რუსეთის სამხედრო ბაზები, რუსული რუბლი ტრიალებს, რუსული ეკონომიკაა შექმნილი. არავის აინტერესებს აფხაზეთში რა ხდება, ის აბსოლუტურად უინტერესო ტერიტორიაა მსოფლიოსთვის. აფხაზეთი აინტერესებს მხოლოდ საქართველოს და მხოლოდ რუსეთს. ამ ფონზე, რუსეთი მაქსიმალურად ჩაეჭიდება აფხაზეთს და მას საქართველო ვეღარ უშველის. ნორმალური საქართველო, სააკაშვილის გარეშე საქართველო აფხაზეთს მერე ვეღარ გადაარჩენს. იქამდე კი, ვიდრე არ ვაღიარებთ, აფხაზების შენარჩუნების შანსები არსებობს და ის საკმაოდ მაღალია", – განუცხადა ზაქარეიშვილმა „ჯი-ეიჩ-ენს".

# მარიკა ლორთქიფანიძე: მამუკა არეშიძეს, ალბათ, რაღაც ინფორმაცია აქვს, რადგან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების პრეზენტაცია მოახდინა



ძალიან საჩოთიროდ მიმაჩნია ის, რომ საქართველომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიაროს, – ასე ეხმიანება აკადემიკოსი **მარიკა ლორთქიფანიძე** კავკასიის საკითხებში ექსპერტის მამუკა არეშიძის ინიციატივას, რომ საქართველომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა უნდა აღიაროს. „ჯი-ეიჩ-ენთან" საუბარში ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ აფსუებმა უნდა იფიქრონ იმაზე, რომ თუ ისინი საქართველოსთან არ იქნებიან, აღარ იქნებიან.

„მამუკა არეშიძე უჭკუო კაცი არ არის. ეტყობა რაღაც ინფორმაცია აქვს. ამასთანავე ის ნამდვილად ქართველი პატრიოტია. მაგრამ მე მაინც ძალიან საჩოთიროდ მიმაჩნია ის, რომ საქართველომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა ვაღიაროთ. მართალს ამბობს მამუკა, რომ თუ ეს არ მოხდა, საშინელი მდგომარეობა შეიქმნება. მე თვალწინ მიდგას ტაო-კლარჯეთი. მართალია, ის ძალით წაიღეს, მაგრამ ჩვენ ვერც კი ვაყენებთ საკითხს ამის შესახებ. ცოტა მეშინია, რომ აი, ასეთ მდგომარეობაში არ ჩავიგდოთ თავი. აფხაზეთის დამოუკიდებლად აღიარება საქართველოსთვის სასარგებლო ვერ იქნება. მაგრამ ერთ რამეს კი გეტყვით, რომ აფხაზებმა უნდა იფიქრონ იმაზე, რომ თუ ისინი საქართველოს შემადგენლობაში არ იქნებიან, ან იქნებიან ისეთ მდგომარეობაში, როგორც არიან, ან რუსეთს თუ შეუერთდებიან, ან თუ ისინი დამოუკიდებლობას მოიპოვებენ, რამდენიმე წელიწადში აფხაზი, როგორც ასეთი აფსუა, აღარ იქნება. აფხაზი ქართველია", – განაცხადა ლორთქიფანიძემ „ჯი-ეიჩ-ენთან" საუბრისას.

„ეს თვითონ აფსუებმა უნდა გადაწყვიტონ. მათ ძალიან კარგად იციან, რომ თუ ისინი ჩამოყალიბდნენ სახელმწიფოდ, ერად, თუ მათ აქვთ თავისი დამწერლობა და ენა, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი საქართველოს შემადგენლობაში იყვნენ. აი, ეს უნდა გააცნობიერონ მათ. ვერ გეტყვით იმის შესახებ, რომ ამ ინიაციტივის უკან რაიმე გეგმა არსებობდეს. მამუკა ჭკვიანი კაცია. ინფორმაციაც, რასაკვირველია, ჩემზე მეტი აქვს, მაგრამ ჩემთვის მიუღებელია, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა ვცნოთ", – აღნიშნა მარიკა ლორთქიფანიძემ.

# ირინა სარიშვილი: აფხაზეთის აღიარების ინიციატივით საზოგადოების ზონდირებასთან გვაქვს საქმე



„საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების იდეა ძალიან დიდი საფრთხის შემცველია. რადგან ამ იდეის გამოტანა მოხდა გარეთ და ეს გააკეთა ქართველმა, ეს მით უფრო საშიშია", – ეს განაცხადა პარტია „იმედის" ლიდერმა **ირინა სარიშვილმა** საагენტო „ჯი-ეიჩ-ენთან" საუბარში ექსპერტ მამუკა არეშიძის ინიციატივის კომენტირებისას, რომელშიც არეშიძე აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას საქართველოს მხრიდან შესაძლებლად მიიჩნევს.

„მგონია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არ მოიძებნება ადამიანი, მიუხედავად რელიგიური, ეროვნული და ნებისმიერი აღმსარებლობისა, რომელიც ამ განცხადების მიმართ დადებითად იქნება განწყობილი. თუ საქართველოს ნებითვე მოხდება ამ ტერიტორიის აღიარება, მაშინ ყველანაირი აზრი ეკარგება იმაზე საუბარს, თავისუფალი უნდა იყოს თუ არა ეს ტერიტორია, რუსეთის ან ნებისმიერი სხვა უცხო ქვეყნის ჯარისგან", – აცხადებს სარიშვილი და აღნიშნავს, რომ ეს განცხადება მამუკა არეშიძეს შემთხვევით არ გაუკეთებია.

„ვფიქრობ, ეს განცხადება არ არის შემთხვევითი. აგვისტოშიც პროვოკაცია გათამაშდა იმისთვის, რომ წაეგოთ ეს ომი, ვინაიდან საქართველოს ხელისუფლებას ორჯონიკიძესავით აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიის პირდაპირ ჩუქება გაუჭირდებოდათ. როგორც ჩანს, ახლა მეორე ეტაპზე ვართ მისული – ომი წავაგეთ, აქამდე სასაცილოდ რომ არ გვყოფნიდა, ისეთმა ქვეყნებმა ცნეს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა, აქ რუსეთზე არ მაქვს საუბარი და დღეს უკვე საქართველოს მიმართ დგება ასეთი რადიკალური განცხადება", – აცხადებს სარიშვილი.

№ 117. პარასკევი, 24 ივნისი, 2011 წელი.

ვითომ?



# გიორგი ვოლსკი: ფურნიეს ზოგიერთ მოსაზრებაში სადავო არაფერია

**საერთაშორისო საკითხებში ექსპერტის გიორგი ვოლსკის შეფასებით, „ქართულ საზოგადოებაში საფრანგეთის ელჩის ერიკ ფურნიეს განცხადებებს ხშირ შემთხვევაში არაადეკვატური რეაქცია მოჰყვება".**

**„უპირველეს ყოვლისა, თვალშისაცემია ელჩების გამონათქვამების სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევის პრაქტიკასთან გაიგივება. უნდა გვახსოვდეს, რომ ევროკავშირის ქვეყნებისა და აშშ-ის გადასახადების გადამხდელთა საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხები საქართველოს დასახმარებლად იხარჯება, ამდენად, ჩვენს საზოგადოებაში ამ ქვეყნების ოფიციალური წარმომადგენლების მიერ გამოხატული პოზიციებიც უფრო პრაგმატულად უნდა გაიაზრონ. კონკრეტულად საფრანგეთის ელჩის გამონათქვამებზე თუ ვიმსჯელებთ, ჩემი აზრით, 1920 წელს ცხინვალის რეგიონში საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციის მისეული ინტერპრეტაცია კრიტიკას იმსახურებს. რასაკვირველია, ეს არა ქართველების მიერ ოსური ეთნოსის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედება, არამედ ვლადიკავკაზიდან მართული ბოლშევიკური აჯანყების წინააღმდეგ მიმართული ოპერაცია იყო. უფრო მეტიც, ოპერაციაში მონაწილე საქართველოს სამხედრო ქვედანაყოფებში, მათ შორის სამეთაურო შემადგენლობაში არაერთი ეთნიკური ოსი მონაწილეობდა",** — განუცხადა „პირველს" ვოლსკიმ.

იგი ასევე არასწორად მიიჩნევს ელჩის მხრიდან აფხაზებისა და ოსების მიმართ საქართველოს სახელმწიფოს დისკრიმინაციულ დამოკიდებულებაზე საუბარს, თუმცა თვლის, რომ **„ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ საქართველოში არსებული კონფლიქტების მიზეზთა ცალმხრივი შეფასება და იმის მტკიცება, თითქოს ყველა პრობლემის მიზეზი ხსენებული ერების საქციელი ან რუსეთის პოლიტიკა იყოს, დაუშვებელია".**

ამასთან, ვოლსკის აზრით, საფრანგეთის ელჩის ზოგიერთი შეფასება ნატოსა და ევროკავშირის სტანდარტებთან შეუსაბამობის შესახებ სადავო არ არის.

**„საქართველო ვერ აკმაყოფილებს მთელ რიგ მოთხოვნებს, რომლებიც ნატოში გაწევრების კანდიდატისთვის და მით უმეტეს სრული წევრობისათვისაა საჭირო. გასაკვირი იქნება, თუკი ვინმე იტყვის, რომ საქართველოს ხელისუფლება არ იცნობს რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიას, სადაც ხაზგასმითაა მითითებული, რომ იგი ნატოს აღმოსავლეთით ექსპანსიას არ დაუშვებს და ენერგორესურსების მოპოვებისა და ტრანზიტის რეგიონში სტრატეგიული უპირატესობისათვის დაპირისპირებაში ყველანაირ საშუალებას გამოიყენებს. ეს რეალობაა და მისი პრევენციისათვის რუსეთისთვის „ნიღაბის ჩამოხსნა" უკიდურესად არაეფექტური ხერხია. აქედან გამომდინარე, საფრანგეთის და სხვა ევროპული ქვეყნების პოზიციათა კრიტიკული ანალიზის ნაცვლად, უმჯობესი იქნებოდა, სახელმწიფოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოებისათვის უფრო მოქნილი სტრატეგია შეემუშავებინა, რაც არა აგრესიულ რიტორიკაში, არამედ დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნასა და გაძლიერებაში უნდა გამოიხატებოდეს. როგორც ბატონი ფურნიე აღნიშნავს, „თუკი რეფორმები, რაშიც დასავლეთი საქართველოს ფინანსურად და პოლიტიკურად ეხმარება, შედეგს ვერ გამოიღებს, როგორც ეს სასამართლოს სფეროში ხდება, ე.ი. პრობლემები არსებობს და საჭიროა ამაზე დაფიქრება". იგი მიუთითებს ევროპულ სტანდარტებთან ქართული მედიასისტემისა და თუნდაც შრომის საერთაშორისო კონვენციებთან ჩვენი კანონმდებლობის მთელ რიგ შეუსაბამობებზე. საზოგადოებისათვის გასაკვირი არ უნდა იყოს არც ევროკავშირის უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოს მოსახლეობისათვის საზღვრების გახსნის საკითხის მიმართ, როდესაც ჩვენი მოქალაქეების დიდი ნაწილისთვის ელემენტარული სოციალურ-ეკონომიკური პირობების დეფიციტი არსებობს. ელჩი ასევე მართალია, როდესაც ამბობს, რომ „საქართველო საერთო მოძრაობას მას შემდეგ შეუერთდება, რაც გადაყლაპავს ე.წ. ევროკავშირის მიერ შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების დიდ აბს, რომელიც საკანონმდებლო ტექსტებსა და წესდებებს, ნორმებსა და შეზღუდვებს მოიცავს". აშშ-ის ადმინისტრაციაც იგივეს გვეუბნება",** — განაცხადა ვოლსკიმ, რომლის აზრით, **„სადაო არაფერია ასევე ფურნიეს ნათქვამში, რომ „ქართული საზოგადოება ფინანსური და პოლიტიკური დახმარების შედეგებს ვერ ხედავს", ხოლო ხელისუფლება ცდილობს, ყველა პრობლემა რუსეთის ფაქტორთან გააიგივოს".**

ნინო ჩიჩუა

ინფორმაცია

## ფურნიე ბოდიშს იხდის



**საქართველოში საფრანგეთის ელჩი ერიკ ფურნიე 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით გაკეთებული სკანდალური განცხადების გამო ბოდიშს იხდის.**

**როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიგი გიგიაძე აცხადებს, დიპლომატს გაკეთებულ განცხადებაზე ახსნა-განმარტების მიცემა საგარეო უწყებაში მოუწია.**

**— ჩვენი გაკვირვება გამოიწვია ბატონ ფურნიეს მიერ „თბილისელებისთვის" მიცემულმა ინტერვიუმ. შესაბამისი ახსნა-განმარტებისთვის ის დაბარებულ იქნა საგარეო საქმეთა სამინისტროში. მან ბოდიში მოიხადა შექმნილი გაუგებრობისთვის და მკაფიოდ აღნიშნა, რომ მისი ინტერვიუ არ იყო შეთანხმებული ოფიციალურ პარიზთან და მის მიერ გაკეთებული განცხადება არ წარმოადგენს საფრანგეთის ხელისუფლების პოზიციას, — აცხადებს საგარეო უწყების მაღალჩინოსანი.**

ჯი-ეიჩ-ენი

ინფლაცია

# იგებს ის, ვინც მარტო სტუმართა იმედით არ არის

**რა სახეობის პროდუქციას მოვიხმართ ადგილობრივს, და რომელს — უცხოურს? კაცი არ მეგულება ინდივიდუალურად (და არა „პარტიულად") მოაზროვნე, რომელსაც ჩვენში ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე მოფიქრება დასჭირდეს. საყოფაცხოვრებო ტექნიკას, ტანსაცმელსა და ავტომანქანებს თავი რომ დავანებოთ, სასურსათო პროდუქციისა და ხორბლის მარცვლის 90 პროცენტი იმპორტით შემოდის! თანაც ეს ხდება მაშინ, როცა ქვეყანაში, საქმისადმი გულისყურით მიდგომის შემთხვევაში, პირიქით, ხილისა თუ ბოსტნეული პროდუქციის ექსპორტის პირობები არსებობს!**

არადა, ფასების ზრდას, ქვეყანაში აგერ რამდენი ხნის მანძილზე, მცირედი შესვენებებით მიმდინარე ინფლაციას ოფიციალური ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლები, პარლამენტარები მსოფლიოში პირველადი მოხმარების საგნებზე, სურსათსა და, რაც მთავარია, ენერგოშემცველებზე ფასების ზრდას, ზოგადად ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს უკავშირებენ. მართალია, ჩვენში ენერგოშემცველების (უწინარეს ყოვლისა, ბენზინისა და დიზელის საწვავის) ფასი არაპროპორციულად მაღალია, რაც, უეჭველია, იმპორტიორთა კარტელური მარაგების შედეგია და წლიდან წლამდე მსოფლიო ბაზარზე ფასის მერყეობის და, ასევე, შემოზიდვის ქვეყნის სიშორის მიუხედავად, განუხრელად იზრდება, რაც ყველა სხვა სახეობის პროდუქციასა და გადაზიდვებს ავტომატურად აძვირებს, ეს მაინც არ არის ინფლაციის მთავარი მიზეზი. ამის დამტკიცებას „შორს წასვლა" არ სჭირდება: ნედლ ნავთობსა და, ზოგადად, ნედლეულზე ყველაზე მაღალი ფასი მსოფლიო ბაზარზე ზუსტად სამი წლის წინათ, 2008 წლის ივნისში იყო, მაგრამ მაშინ ფასებს დღევანდელი „სიმაღლეებისთვის" ნამდვილად არ მიუღწევიათ. ზოგადად რომ ვთქვათ, **ნედლეულის, საწვავის შესყიდვა დაახლოებით წლინახევრის-ორწლინახევრის პერიოდის კონტრაქტებით ხდება, სადაც ფასი მკაცრადაა მითითებული, ამდენად მსოფლიო ბაზარზე ვითარების რამდენადმე მნიშვნელოვანი შეცვლის შემთხვევაშიც კი სამომხმარებლო ფასზე მყისიერ ზეგავლენას ვერ მოახდენს (ყოველ შემთხვევაში, ცივილიზებულ ქვეყნებში ასეა).** ჩვენში ფასების ბოლოდროინდელი უსასტიკესი ზრდა (იმავე ბენზინზე, ხორცზე, ცხიმებზე და ა.შ.) სამეწარმეო ბაზის ფაქტობრივი უქონლობით, მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების სტრუქტურის სრული დარღვევით, ასევე არასწორი ფინანსური პოლიტიკითაა განპირობებული. მაგალითისთვის შეიძლება თუნდაც იმის თქმა, რომ ნორმალურად განვითარებად ქვეყანაში შიდა ბაზარზე მოხმარებული პროდუქციის 80 პროცენტი ადგილობრივია, იმპორტის მოცულობა კი — დაახლოებით 20 პროცენტი. რაც შეეხება მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) წარმოების სტრუქტურის ქვეყნის მოთხოვნილებასთან უკიდურეს შეუსაბამობას, უნდა ითქვას, რომ **საქართველოს, უწინარესად, სამრეწველო და, რაც მთავარია, სოფლის მეურნეობის განვითარება სჭირდება, ჩვენში კი მშპ-ს დაახლოებით სამი მეოთხედი მომსახურებაზე, 10 პროცენტზე ნაკლები — სოფლის მეურნეობაზე (!), დანარჩენი კი მრეწველობაზე მოდის.**



საიმისოდ კი, რომ ქვეყანა განვითარდეს, მომსახურების ადგილი მშპ-ში სწორედაც მრეწველობამ უნდა დაიკავოს და ვიდრე ასე არ მოხდება, საინფლაციო პროცესების შეჩერება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება, რაც მოსახლეობასაც და ქვეყანასაც კარგს არაფერს უქადის. არანაირად არ შეიძლება იმის უგულებელყოფა, რომ თუკი დღესდღეობით საქართველოში, ბელარუსის მსგავსად, ჰიპერინფლაციასთან არა გვაქვს საქმე, ამას, დიდწილად, ეროვნული ეკონომიკის ვგონებ ერთადერთ წარმატებულ, საბანკო სექტორს უნდა ვუმადლოდეთ.

წეღან მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნის სტრუქტურის შეცვლის აუცილებლობა ვახსენეთ და, ამასთან დაკავშირებით აუცილებელია იმის თქმა, რომ საერთაშორისო ტურიზმი, რომელსაც მთავრობა ეკონომიკური აღმასვლის ქვაკუთხედად მოიაზრებს, ნაკლებად უნდა იყოს ის საყრდენი, რომელსაც ქვეყნის ინდუსტრიული მომავალი შეიძლება დაეფუძნოს. ამის კარგი მაგალითებია, გნებავთ, ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი. **არა გვგონია, ვინმეს თუნდაც გულის სიღრმეში მაინც სწამდეს იმისა, რომ საქართველოს ამ ქვეყნებზე ტურიზმის განვითარების ან მეტი პოტენციალი ჰქონდეს, ანდა მათზე უკეთესი ინფრასტრუქტურის გამართვა შევძლოთ თუნდაც უახლოეს 10-15 წელიწადში.** ამდენად, ტურიზმის ხარჯზე ქვეყნის აყვავების დაპირება, უკაცრავად და რაღაცით ვირისა და მისი სწავლების ამბავს უფრო ჰგავს — ვიდრე სახედარი რამეს ისწავლის, ან თავად მოკვდება, ან მისი პატრონიო... ნურც ის დაგვავიწყდება, რომ თუნდაც რამდენიც გნებავთ იმდენი ტრამპი მოვიდეს ქვეყანაში (რომელიც, სხვათა შორის, თავისი კუთვნილი არც ერთი დოლარის დაბანდებას არ აპირებს საქართველოში, ლაპარაკია მხოლოდ მისი სახელით კაპიტალის მართვაზე!), ტურიზმის განვითარება ძალიან დიდი თანხების ინვესტირებას საჭიროებს, რომელთაგან უკუგება წელიწადში, უკეთეს შემთხვევაში, ხუთ პროცენტს არ აღემატება, რაც ძალიან ცოტაა, მით უმეტეს ფინანსური კრიზისის პირობებში. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, საერთაშორისო ტურიზმისგან უფრო მეტად მოგებულნი ის ქვეყნები არიან, ვისაც ეკონომიკის ეს სფერო მაინცდამაინც „სუფრის თავში" არა აქვთ მოქცეული (მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, გნებავთ, ჩვენი უახლოესი მეზობლები — აზერბაიჯანი და სომხეთი).

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის (მაგალითად, იმავე ამერიკის შეერთებული შტატების, თურქეთის) მაგალითი გვაჩვენებს, რომ ქვეყნის ფეხზე დასაყენებლად, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია ჯერ ადგილობრივი ინდუსტრიის ფეხზე დაყენება, შიდა ბაზრის სამამულო წარმოების საქონლით გაჯერება, რისთვისაც, ცხადია, აქაურ მეწარმეებს თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე, თან კონკურენტიან გარემოში უნდა ჰქონდეთ. მაგრამ, სამწუხაროდ, არც დღესდღეობით ლამის „წმიდა წიგნად" გამოცხადებული ახალი საგადასახადო კოდექსი, არც ფისკალურ ორგანოთა გატარებული პოლიტიკა, არც ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის უქონლობა ამის იმედს არ იძლევა, მით უმეტეს მაშინ, როცა ქვეყანაში სხვისი ბიზნესის მიტაცება-დაპატრონების პრაქტიკის ახალ-ახალი მექანიზმები ინერგება.

ოთარ ტურაბელიძე

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# დროა, დასავლეთმა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია აღიაროს

**საქართველოს ძველებურად სწამს თავისი განსაკუთრებული ბედი. ეს ერთადერთი სახელმწიფოა პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელიც ცდილობს ნატოსა და ევროკავშირში შესვლას, აგრეთვე ამისთვის ახორციელებს მასშტაბურ რეფორმებს. მიუხედავად ამისა, თბილისს ეშინია დასავლელი პარტნიორების მიერ მისადმი ინტერესის დაკარგვისა, რომელთა ყურადღებაც დათრგუნა მოსკოვთან ურთიერთობამ.**

პარიზში გავლით მყოფმა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძემ უპასუხა ჩვენი გაზეთის შეკითხვებს. საუბარი გაიმართა საფრანგეთში რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის ვიზიტის წინა დღეებში.

გაზეთი: თუ გახდა საქართველოსთვის დიდი გაწბილება რუსეთისთვის „მისტრალის“ ტიპის ოთხი ხომალდის მიყიდვა?

გიორგი ბარამიძე: ჩვენ პატივს ვცემთ საფრანგეთის გადაწყვეტილებას. საფრანგეთი – საქართველოს დიდი მეგობარია. მაგრამ, მოდით ლოგიკას მივყვეთ. საკითხი შეეხება პოლიტიკურ და არა სამხედრო გადაწყვეტილებას. რუსეთს, ცხადია, რომ არ უნდა მისტრალი. ეს არ არის თავდაცვითი იარაღი, ის შეტევითი იარაღია. მაგრამ ვის წინააღმდეგ აპირებს მის გამოყენებას მოსკოვი? ცხადია, რომ არა ნატოს წინააღმდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთი ამას არასოდეს დაუშვებდა.

შავ ზღვაზე არის უკრაინა და არის საქართველოც. თუ რუსეთს ენდომება შეიჭრას საქართველოში, ამას გააკეთებს „მისტრალის“ გარეშეც. მაშინ რაღა ვუყოთ ჩრდილოეთ კორეას, სამხრეთ კორეას, იაპონიას? ეჭვი მეპარება. რუსეთს განზრახული აქვს, დაამყაროს საფრანგეთთან ორმხრივი ურთიერთობა, როგორც მან ეს გააკეთა გერმანიასთან. მისი სტრატეგიული გეგმა არის ის, რომ აჩვენოს ნატოს და ევროკავშირის გარკვეულ წევრებს თავისი თავი, შემდეგ კი გაიგოს, თუ როგორ იცვლება აზრი ამასთან დაკავშირებით.

– რას იტყოდით სიტუაციის შესახებ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთთან 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რომლის შედეგადაც ეს ორი სეპარატისტული რეგიონი აცხადებს თავს დამოუკიდებლად?

– საკითხი შეეხება შეჩერებულ რეჟიმებს. მათ ლიდერებს უფრო ნაკლები ხელისუფლება აქვთ, ვიდრე ზოგიერთი რეგიონულ ხელმძღვანელს რუსეთში. ეს ყველაფერი პოლიტიკური თეატრია. სამი წლის შემდეგ დროა, რომ დასავლეთმა აღიაროს იმ ტაქტიკის სრული ჩავარდნა, რომლის მიხედვითაც ოკუპაციას ოკუპაცია ეწოდება. რუსეთი არა თუ არ გადის ამ ტერიტორიიდან და არ აძლევს იქ ევროპელ მეთვალყურეებს მუშაობის საშუალებას, არამედ განათავსა სარაკეტო კომპლექსები „ტოჩკა-უ“ სამხრეთ ოსეთში და „სმერჩი“ აფხაზეთში. რუსები ამას არ მალავენ და თავი მოაქვთ



უკიდურესად ცინიკურად. ისინი სულ უფრო მეტად დასცინიან 2008 წელს ხელმოწერილ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

მოვიდა დრო, დასავლეთის ქვეყნებმა გააძლიერონ ზემოქმედება რუსეთზე, თუნდაც სურდეთ, ჰქონდეთ მასთან მეგობრული კავშირურთიერთობა. ჩვენ არავის მოვუწოდებთ კონფრონტაციისკენ, მოვითხოვთ მხოლოდ ვაღიაროთ ფაქტები: ეთნიკური წმენდა და ოკუპაცია. ეს ოკუპაცია ხელსაყრელია მათთვის, ვინაიდან მათ სურთ, მიიღონ მთელი საქართველო მთლიანად „გაზპრომის“ და პუტინის ინტერესების სახელით, რომელსაც არ უნდა, რომ მისი მეზობელი გახდეს უფრო მახლობელი დასავლეთისთვის განხორციელებული რეფორმების წყალობით.

რუსეთის გზავნილი დასავლეთისთვის უკიდურესად მარტივია: ჩვენ თქვენსას არ შევეხებით, თქვენც ნუ შეეხებით ჩვენსას. ნატოს და ევროკავშირის ქვეყნები მოსკოვისგან მიუწვდომელ მანძილზე არიან, მაგრამ ამავე დროს რუსეთის ყველა დანარჩენი მეზობელი განიხილავს მას, როგორც აუნაზღაურებელი გავლენის ზონის ნაწილად. ამ თვალსაზრისით საქართველო, ისევე როგორც უკრაინა, გადამწყვეტ როლს ასრულებს. ჩვენ გვსურს, გადავიაროთ აქაფებული მდინარე, მაგრამ ჯერ ისევ შუა გზაში ვართ და არა მეორე ნაპირზე. ისინი გრძნობენ ჩვენს სისუსტეს და არ ელევიან თავიანთ მცდელობებს. ნატოში შესვლა ყველაფერს შეცვლის. რუსები შეიძლება ცუდებიც არიან, მაგრამ არა გიჟები.

– უკანასკნელი თვეების განმავლობაში თქვენს მთავრობაში ხშირად აცხადებდნენ რუსეთის მიერ რამდენიმე ტერორისტული აქტის ორგანიზაციის შესახებ...

– უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში რუსები შეეცადნენ, მოეწყოთ მთელი რიგი ტერორისტული აქციები. თბილისში ამერიკის საელჩოსთან და ოპოზიციური პარტიის შტაბ-ბინასთან მოხდა ორი აფეთქება. თავიდან ავიცილეთ სხვა აქციებიც, მათ შორის ნატოს წარმომადგენლობასთანაც.

ამას გარდა, დააკავეს ოკუპირებული ტერიტორიის ეთნიკური ქართველების ჯგუფი, ნატოს დაზვერვის წყალობით ჩვენ შევძელით მიგველო იმის დადასტურება, რომ ამ ფაქტების უკან მყოფი ადამიანები დაზვერვის მთავარი სამმართველოს ოფიცრები იყვნენ. ჩვენთვის ცნობილია დამფინანსებლების სახელები და არხები. გასაგები რჩება მხოლოდ ის, თუ საით მივყავართ ყოველივე ამას.

– საქართველოს პოლიციას აკრიტიკებენ ოპოზიციონერების მაისის გამოსვლების დროს „ძალის არაპროპორციულ გამოყენებაში“...

– ამ მანიფესტაციების ჭეშმარიტი მიზანი პრეზიდენტ სააკაშვილისა და მისი მთავრობის დამხობა იყო. იმისთვის, რომ განეხორციელებინათ თავიანთი „მშვიდობიანი რევოლუცია“, ოპოზიციონერებმა ჩამოაყალიბეს ხალხის პატარა ჯგუფები ნიღბებსა და არმატურით ხელში.

სიტუაცია გასცდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ კლასიკურ მანიფესტაციას. მათ დაბლოკეს გზა სახელმწიფო ტელევიზიის შენობის წინ და სურდათ ხელი შეეშალათ სამხედრო აღლუმისთვის საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავთან დაკავშირებით. მათი მიზანი იყო მოეწყოთ პოლიციასთან შეტაკება. ზოგიერთმა პოლიციელმა შეიძლება გადაამეტა.

ჩვენ მოვაწყობთ სპეციალურ გამოკვლევას, ასეთი პასუხი იქნებოდა სრულიად კანონიერი და გამართლებული. ამგვარ მეთოდებს იყენებენ ევროპის ყველა დედაქალაქში. ორი დაიღუპა, აქტივისტი და პოლიციელი, ისინი ქალბატონ ბურჯანაძის ესკორტმა გაიტანა.

– რუსულ ელიტას შორის არის შეშფოთება პუტინ-მედვედევის მომავალი ტანდემის გაურკვევლობის შესახებ. თქვენ გჯერათ ამ ორი პოლიტიკოსის ბრძოლა?

– ეს არის კარგი და ცუდი პოლიციელის თამაში. მაგრამ მე პატივს ვცემ ბევრი გონიერი ადამიანის აზრს, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ არის მათ შორის სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა. ეს გაიძულებს ჩაფიქრდე.

მიუხედავად ამისა, რუსეთის ჩემეული ცოდნა და ჩემეული ინტუიცია მაინც მეუბნება, რომ არ უნდა დავუჯერო ამას. თუ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, რატომ არ გადააყენებს პრეზიდენტი მედვედევი პუტინს თანამდებობიდან? მით უმეტეს, როგორც ჩვენ ყველამ შესანიშნავად ვიცით, პოლიტიკოსი რუსეთში კარგავს თავისი პოპულარობის ნახევარს ხელისუფლებიდან წასვლის მეორე დღესვე.

Le Monde.fr

## დედამიწის ზურგზე



**კადაფიმ ბრალი დასდო ნატოს ხალხის დახოცვაში და დაიმუქრა, რომ მიხედავს „სახლებსა და ბავშვებს“ დასავლეთში**

ლიბიის ლიდერმა დამნაშავეები და ბარბაროსები უწოდა ნატოს მფრინავებს, რომლებმაც საჰაერო დარტყმები მიაყენეს დასახლებულ პუნქტ სურმანს, სადაც სულ ცოტა 19 კაცი დაიღუპა, მათ შორის კადაფის თანაშემწის სამი შვილიშვილი და რძალი. „ერთხელაც იქნება გიპასუხებთ ასევე“, – დაიმუქრა ჯამახერიის ლიდერი და აღნიშნა, რომ მისი ჯარები იბრძოლებენ „ჯვაროსნებთან“ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

* * *

**მეცნიერებმა „კასინის“ ზონდის დახმარებით სატურნის თანამგზავრის ძირის ქვეშ აღმოაჩინეს მარილიანი წყალი. შეიძლება იქ სიცოცხლე იყოს**



წყლის არსებობა, შესაბამისად სითბოსიც, რომელიც იცავს სითხეს გაყინვისგან და ორგანული წარმოშობის მოლეკულებისგან, მიუთითებს ენცელადზე სიცოცხლის რაიმე ფორმის არსებობის ალბათობაზე, აღნიშნავენ მკვლევარები. ზონდი სამჯერ მიუახლოვდა სატურნის თანამგზავრს და შედეგად გააკეთა უნიკალური ფოტოები გეიზერებისა, რომლებიც ამოიფრქვევა ენცელადზე.

* * *

**ობამამ გამოაცხადა ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის დაწყების შესახებ**



მისი სიტყვებით, „მიმდინარე წლის ბოლოსთვის, ივლისიდან, ჩვენ შევძლებთ გამოვიყვანოთ იქიდან 10 ათასი ჩვენი სამხედრო მოსამსახურე“. მომავალი წლის ზაფხულისთვის სახლში დავაბრუნებთ მთლიანად 33 ათას ჯარისკაცს“, – თქვა ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა. ამის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები შეწყვეტს საბრძოლო მისიას ავღანეთში და გადაერთვება ადგილობრივი ძალების მხარდაჭერაზე.

* * *

**ყაზახურმა კატამ დაასახიჩრა და საავადმყოფოში გაგზავნა ოთხი კაცი**

თავდაპირველად გაცოფებული ცხოველი თავს დაესხა 54 წლის ქალს, რომელიც ეზოში სარეცხს ჰკიდებდა, შემდეგ შეუტია მის მეზობელს. ამის შემდეგ კატა გაიქცა ქუჩაში და კიდევ ორ გამვლელს უკბინა. შეიძლება კატა ცოფით იყოს დაავადებული. ყველა დაზარალებული იზოლირებულია.



# ქართულ ოპოზიციას დაბრკოლებათა ზოლს უწყობენ

**საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო შესწორებები კანონში „კრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“. ახალი კანონი მკვეთრად ამკაცრებს მიტინგებისა და დემონსტრაციების მოწყობის წესებს, აგრეთვე დასჯას პოლიციის წინააღმდეგ მოქმედებისთვის. ოპოზიციის აზრით, ამ შესწორებების შედეგად საქართველოში პროტესტის მასობრივი აქციების ორგანიზაცია შეუძლებელი ხდება.**

კანონში „კრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ ცვლილებების შეტანის მხარდაჭერით სამშაბათ საღამოს გამოვიდა 98 დეპუტატი, წინააღმდეგ – 2. ამიერიდან ნება აღარ ეძლევა აქციების მოწყობას საკონსტიტუციო წყობის შეცვლის მოთხოვნით და ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის სუვერენიტეტის ან ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევით, მოწოდებით. ამას გარდა, იკრძალება აქციები სახელმწიფო დაწესებულებიდან ოცი მეტრის რადიუსში. წესდება სრული აკრძალვა პროტესტებზე ავტომაგისტრალებზე, აკრძალულია რკინიგზის მონაკვეთების დაბლოკვა. მაისის პროტესტების ინიციატორის, პარტია „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის სიტყვებით, ეს ყველაფერი „შეუძლებელს ხდის საქართველოში მიტინგებისა და დემონსტრაციების მოწყობას“.

სხვათა შორის, ოპოზიციის მთავარი უკმაყოფილება გამოიწვია დოკუმენტის სხვა დებულებებმა. შესწორებების თანახმად, „პოლიციელზე, სატრანსპორტო საშუალებაზე, ხელისუფლების წარმომადგენელზე ან საჯარო დაწესებულებაზე, აგრეთვე პოლიციელების ოჯახების წევრებზე თავდასხმა“ ისჯება თავისუფლების აღკვეთით 7-დან 20 წლამდე, ანდა სამუდამო პატიმრობით. იურისტების აზრით, ამ ზომის ზუსტი დაცვა მიგვიყვანს იმასთან, რომ ადამიანი, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს პოლიციას მიტინგისა და დემონსტრაციის დარღვევის დროს, ეწევა იმის რისკს, რომ ცხოვრების დარჩენილი ნაწილი ციხეში გაატაროს. დღეს მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი ვახტანგ ხმალაძე ასეთ დასჯას დრაკონულს უწოდებს. „სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპი ეს არის განხორციელებული დანაშაულის პროპორციული დასჯა, – ამბობს ბატონი ხმალაძე. – ისეთი ნორმა, როგორიცაა სამუდამო პატიმრობა, შეუსაბამოა მითითებულ დანაშაულთან და არაფრით შეესაბამება კონსტიტუციის სულისკვეთებას“.

კიდევ უფრო მკაცრი კრიტიკა დაატყდა თავს კანონის დებულებას, რომელიც ამკაცრებს დასჯას შეიარაღებული ფორმირებების ორგანიზაციისთვის მასში მონაწილეობისა და დაფინანსებისთვის. სანქციებად ასეთი დანაშაულისთვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 6-დან 12 წლამდე. „საკითხი რომ შეეხებოდეს დაფინანსებას, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებას – კიდევ შეიძლებოდა, – ამბობს ვახტანგ ხმალაძე. – მაგრამ კანონი „უკანონო ფორმირებად“ აცხადებს ადამიანთა ნებისმიერ ჯგუფს, მათ ცეცხლსასროლი იარაღიც რომ არ ჰქონდეთ მაინც. საკმარისია ხელში ეჭიროთ რაიმე ნივთი, რომლითაც ჰიპოთეტურად შეიძლება მიაყენო ზიანი მეორე ადამიანს, თანაც იმისგან დამოუკიდებლად, გამოიყენეს თუ არა მათ ეს საგანი“.

ასეთი მკაცრი ზომის შემოღებით საქართველოს ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, გაითვალისწინა მაისის მოვლენების გამოცდილება, როდესაც ნინო ბურჯანაძის მომხრეები შეიარაღდნენ ხელკეტებით, ფარებითა და ქვაშურდულებით, რომლის ტარებაც კანონით პირდაპირ არ არის აკრძალული. „თუ ხუთ კაცს მიტინგზე ანდა მის გარეთაც ჯიბეში აღმოაჩნდება კარგად წვერწათლილი ფანქარი, ისინი შეიძლება გაასამართლო, როგორც უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მონაწილეები, ფანქრითაც ხომ შეიძლება მიაყენო ზიანი სხვა ადამიანს“, – ასკვნის ბატონი ხმალაძე.

სხვათა შორის, საქართველოს ხელისუფლება ოპოზიციის პრეტენზიებს უსაფუძვლოდ მიიჩნევს. „ჩვენ ჩვენი კანონმდებლობა მივუახლოვეთ ევროპულ ნორმებს და დავაწესეთ თამაშის გასაგები წესები, – განუცხადა ჩვენს გაზეთს პარლამენტის უმრავლესობის ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა. – არავინ ფიქრობს მიტინგების აკრძალვას, მაგრამ მათზე არ უნდა იყოს ცივი იარაღი, არ უნდა იყოს ასაფეთქებელი ნივთიერებები, „მოლოტოვის კოქტეილები“. და თუ კანონის ასეთი მოწესრიგება ვინმეს ხელს არ აძლევს, ესენი არიან მხოლოდ ისინი, ვისაც უნდა მიტინგის გადაზრდა შეტაკებებსა და უწესრიგობებში“.




Коммерсантъ

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | | |

| | |
|---|---|
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| | [illegible] |
| [illegible] | |
| [illegible] | [illegible] |

ჭიდაობა

# „თავისუფალთა“ მონაგარი



**სერბეთში დამთავრდა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. უკვე გაუწყეთ, რომ ნუგზარ სხირელის შეგირდებმა ასპარეზობის პირველ დღეს სამი მედალი (ერთი ვერცხლი, ორი ბრინჯაო) მოიპოვეს. მათ მომდევნო დღესაც ამდენი ჯილდო მოიხვეჭეს, ოღონდ სინჯით — უკეთესი: კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (55) და დავით მარსაგიშვილი (84), ხოლო გენო პეტრიაშვილმა (მძიმე წონა) მესამე ადგილი დაიკავა.**

მარსაგიშვილმა ოთხივე ორთაბრძოლა ძირითად დროში დაასრულა: ზედიზედ სძლია თურქ მურატ ოზკონს, უკრაინელ დავიდ კალაშიანს, რუს ალბერტ ციპინოვსა და სომეხ ვაჩე ტამრაზიანს. ხინჩეგაშვილმა გზიდან რუმინელი დავიდ დობრე, უკრაინელი ვიტალი გურსკი, სომეხი მატეოს საროიანი, თურქი მეჰმეთ სოილერი, რუსი არსენ კურამაგომედოვი ჩამოიცილა და მკერდი ოქროს მედლით დაიმშვენა.

პეტრიაშვილმა თავიდან ორი მეტოქე დაჯაბნა, ნახევარფინალში კი მოლდოველ იჰარ დიაჩკოსთან დამარცხდა, მესამე ადგილისთვის პაექრობაში კი გერმანელ ტონი ბერჰარდტს აჯობა. საგულისხმოა, რომ პეტრიაშვილი 16 წლისაა, 197 სანტიმეტრი სიმაღლის და 102 კილოს იწონის...

გუნდურ ჩათვლაში „ჯვაროსნებმა“ რუსების მსგავსად 63 ქულას მოუყარეს თავი და რადგან ჩრდილოელ მეზობლებს დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩნენ, მეორე ადგილი ხვდათ წილად. მესამე პრიზიორი 53 ქულით აზერბაიჯანის ნაკრები გახდა.

დღეს „თავისუფლებს“ „კლასიკოსები“ შეცვლიან.

**ლექსო ცინცაძე**

თამაში

# „ბერმუხას“ „დუბლი“



**დედაქალაქის 32-ე საჯარო სკოლის კლუბი „ნიჭიერი ახალგაზრდები სამოქალაქო საზოგადოებრივი აქტივობისათვის“ შესანიშნავი ინიციატივის ავტორი გახდა — ამერიკის საერთაშორისო ორგანიზაცია „იუსაიდის“ მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში (ხელმძღვანელი — ალექსი მესტუმრიშვილი, თანამდგომები — ალნიშნული სკოლის დირექტორი ნანა ქაჯაია, სპორტის პედაგოგი — იური დალაქიშვილიძ გამართა გლდანი-ნაძალადევის მოსწავლეთა რაიონული პირველობა 1994-1995 და 1997-1998 წლებში დაბადებულ მინიფეხბურთელთა და ფრენბურთელთა შორის.**

ტრადიციისამებრ, ორივე სახეობაში ამჯერადაც 207-ე საჯარო სკოლის გუნდმა „ბერმუხამ“ იმარჯვა (სკოლის დირექტორი — ზურაბ ჩხაიძე, სპორტის პედაგოგები — დავით ხავთასი და გიორგი კალანდაძეძ.

მეორე და მესამე პრიზიორები, შესაბამისად, 32-ე და 133-ე სკოლების წარმომადგენლები გახდნენ.

**ვიტალი ჯაფარიძე**



ჭადრაკი

# საგზურები გაინაწილეს



**თბილისის ჭადრაკის სასახლეში რვაწლიანთა საქართველოს პირველობაზე შესანიშნავად იასპარეზა ქუთაისელმა თამარ ესაძემ, რომელმაც 9 შესაძლებლიდან ქულათა მაქსიმუმით მოიპოვა ჩემპიონობა.**

გამარჯვებულს ორი ქულით ჩამორჩა ნინო დარჩიაშვილი (გორიძ და ვერცხლის მედალი იკმარა, 6 ქულით მესამე ადგილზე ნია დონღვანი (ქუთაისიძ გავიდა. ბიჭებში 8,5 ქულით პირველობა არავის დაუთმო ნიკოლოზ კაჭარავამ. 7,5 ქულით მეორე იყო საბა ლომსაძე. ქულით ნაკლები მოაგროვა და მესამე ადგილს დასჯერდა დავით გაბუნია (სამივე — თბილისიძ.

**12-წლიანებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: გოგონები:** 1. ნინო ჯალაღონია (ქუთაისი, 8 ქულაძ, 2. ნინო დახუნდარიძე (ქუთაისი, 8ძ, 3. თამარ ფაშკურიძე (ტყიბული, 6,5ძ. **ვაჟები.** 1. ირაკლი ახვლედიანი (ბათუმი, 8ძ, 2. ლუკა ლიჩელი (გორი, 7ძ, 3. გიორგი ინანეიშვილი (ქუთაისი, 7ძ.

გამარჯვებულები თანატოლთა შორის მსოფლიოს, ვერცხლის მედალოსნები კი ევროპის პირველობაზე გამოვლენ.

**ლაშა დიდია**

ფეხბურთი

# მოზაიკა



**საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მოთამაშე დავით მუჯირი (უმცროსიძ რამდენიმე თვის წინათ იაპონიის ჯეი-ლიგის ერთ-ერთ წამყვან კლუბ „ჰიროსიმაში“ ჩაირიცხა.**

33 წლის ნახევარმცველი ამომავალი მზის ქვეყანაშიც წარმატებით ასპარეზობს და კიდევ ერთხელ გვაძლევს საბაბს დავსვათ კითხვა — ხომ არ აჩქარდა თემურ ქეცბაია, როცა „ჯვაროსანთა“ კანდიდატობის სიიდან ამოიღო „მუმუ“?

უკანასკნელ ტურში ჩვენი თანამემამულის გუნდმა შინ 3:2 სძლია „იამაგატას“ და სატურნირო ცხრილში IV ადგილზე დამკვიდრდა, თანაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერ „კაშივას“ მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩება, უნდა ვივარაუდოთ, რომ საჩემპიონო რბოლაშიც ჩაებმება.

აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა ანგარიში მუჯირის ზუსტი გადაცემით გახსნეს, სულ კი დათომ 12 შეხვედრაში 2 გოლი გაიტანა.

* * *

**ხვალ აშშ-ს და მექსიკის გუნდების გადამწყვეტი მატჩით დასრულდება „ოქროს თასის“ გათამაშება ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების ნაკრებთა მონაწილეობით, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სტადიონებზე იმართება.**

მართალია, ფავორიტმა მასპინძლებმა ტურნირი იამაიკასთან სენსაციური მარცხით დაიწყეს — 0:1, მაგრამ შემდეგ თანდათან გამოასწორეს თამაში, ნახევარფინალში კი პანამას 1:0 სძლიეს (დემპსი, 77-ე წუთიძ.

კიდევ უფრო გაუჭირდა მიზნის მიღწევა მექსიკას, თუმცა დამატებით დროში მაინც დაჯაბნა ჰონდურასი 2:0.



* * *

**ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალში, რომელიც დანიაში მიმდინარეობს და აგრეთვე ხვალ მთავრდება, ერთმანეთს ესპანეთისა და შვეიცარიის ნაკრებები შეხვდებიან.**

ნახევარფინალში პირენეელები ძირითადი დროის უკანასკნელ წუთზე გადაურჩნენ ბელარუსებს — 1:1, ხოლო გადამწყვეტ უპირატესობას დამატებით დროში მიაღწიეს — 3:1.



აღსანიშნავია, რომ სამხრეთელთა შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონები ხავი მარტინესი და მატა თამაშობენ, ხოლო გარდატეხა ბრძოლის ხასიათში მოედანზე „ბარსელონიდან“ „რომაში“ ახლახან გადასულ ბოიანისა და „სევილიას“ მარცხენაფლანგელ კაპელის გამოჩენის შემდეგ მოხდა.

რაც შეეხება მათ მომავალ მეტოქეს, მანაც დამატებით დროში სძლია ჩეხებს — 1:0. სხვათა შორის, შვეიცარიელებს ტურნირზე ჯერ გოლი არ გაუშვიათ.

**გიორგი შოთაძე**

ფიგურული სრიალი

# ნდობის ვოტუმი — იაპონიას



**როგორც მოგეხსენებათ, დამანგრეველი მიწისძვრისა და ცუნამის გამო ფიგურისტთა წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატი იაპონიიდან მოსკოვში გადაიტანეს.**

მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირის მიერ ამ დღეებში მიღებული გადაწყვეტილება მოწმობს, რომ ამომავალი მზის ქვეყანა სპორტულ სამყაროში კვლავაც დიდი ნდობით სარგებლობს. კერძოდ, 2014 წლის „მუნდიალს“ ტოკიო ან მისი გარეუბანი საიტამა უმასპინძლებს.

ოლიმპიზმი

# კადაფი – პერსონა ნონ გრატა



**ლიბიის პრეზიდენტ მუამარ კადაფის და მის მომხრეებს ლონდონის ოლიმპიადაზე დასწრების უფლებას არ მისცემენ.**

მართალია, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი აპირებს ლიბიის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს გარკვეული ოდენობის ბილეთები გამოუყოს, მაგრამ რადგან კადაფის ევროპაში გადაადგილების უფლება ჩამორთმეული აქვს, ამიტომ ინგლისის დედაქალაქამდე ის ვერ ჩააღწევს.

◉ ინფორმაცია

## ნამახვანჰესის რეაბილიტაციას „შეეწირა“

**საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაამთავრა მსჯავრდებულ ზვიად ხარებავას საკასაციო საჩივრის განხილვა და მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, ზვიად ხარებავას მიესაჯა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა 50 000 ლარის ოდენობით, მასვე 3 წლის ვადით ჩამოერთვა სამეწარმეო საქმიანობის უფლება.**

— მსჯავრდებულის ადვოკატმა, ჯერ სააპელაციო სასამართლოში, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენის უცვლელად დატოვების შემდეგ, საკასაციო საჩივარი უზენაეს სასამართლოში შემოიტანა. საკასაციო პალატა, სისხლის სამართლის საქმისა და საკასაციო საჩივრის შესწავლის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ზვიად ხარებავას საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 547-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც არ უნდა იქნას დაშვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე განსახილველად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 1 სექტემბრის განაჩენით, ზვიად ხარებავა ცნობილი იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში, რაც გამოიხატა ხარებავასა და მასთან დაკავშირებული ჯგუფის წევრების მიერ თაღლითობის ჩადენაში, კერძოდ, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, დიდი ოდენობით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ასევე წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვა.

თაღლითობის ფაქტი მდინარე რიონზე ნამახვანჰესის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში მიმდინარე შეფასებითი ანგარიშის მომზადება-დამტკიცებას შეეხებოდა, რომელიც ჯგუფის წევრებს კონკრეტული თანხის სანაცვლოდ უნდა მოეგვარებინათ.

## საქართველოს ორი მოქალაქე გაათავისუფლეს

**საბერძნეთში დაკავებული საქართველოს 9 მოქალაქიდან 2 მტკიცებულების არ ქონის გამო გაათავისუფლეს. ცნობილია დაკავებულების ვინაობა, თუმცა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სახელებსა და გვარებს ამ ეტაპზე არ ახმაურებს. საქართველოს მოქალაქეებს, მათ შორის სამ ქალს, საცხოვრებელი ბინების ძარცვაში ედებათ ბრალი. საუბარია 200-მდე ფაქტზე.**

— საბერძნეთში დაკავებული საქართველოს მოქალაქეების ვინაობა საელჩომ გაარკვია. ინფორმაციის გაცემა პირად მონაცემებზე ჯერჯერობით არ შეგვიძლია. ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს გამოძიება და ინფორმაცია დახურულია. როგორც კი პოლიცია შეგვატყობინებს დამატებით ინფორმაციას, საზოგადოებას ვაცნობებთ, — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ ინგა კიკვაძემ.

## ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი გურჯაანში

**გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდარში, ღვინის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე კლდე ჩამოიშალა, რის შედეგადაც ნამოსახლარი აღმოჩნდა. ადგილზე ნივთები იპოვეს, რომელიც წინასწარი ინფორმაციით, ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის.**

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის განყოფილების სპეციალისტმა თამაზ მარკოზაშვილმა განუცხადა, ნამოსახლარი 3 მეტრზე მიწით არის დაფარული.

— ამ ეტაპზე დეტალების დაკონკრეტება არ შემიძლია, რადგან ტერიტორია შესასწავლია, — აღნიშნა მარკოზაშვილმა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◉ საერთაშორისო გამოფენა





## სამედიცინო პარფიუმერული ნაწარმის ზეიმი „ექსპო ჯორჯიაში“

**გამოფენების ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ ტერიტორიაზე, მე-11 პავილიონში, ამავე ცენტრის ორგანიზატორობითა და თბილისის მერიის მხარდაჭერით 26 ივნისამდე გასტანს სამედიცინო ტექნოლოგიების, ლაბორატორიული აღჭურვილობის, სტომატოლოგიის მე-11 და კოსმეტიკისა და ესტეტიური მედიცინის მე-6 საერთაშორისო გამოფენები.**



აღსანიშნავია, რომ 57 საგამოფენო სტენდზე ასამდე კომპანიის ნაწარმია წარმოდგენილი. განსაკუთრებით ხალხმრავლობაა (რა თქმა უნდა ქალბატონების სიჭარბეძ პარფიუმერიის, კოსმეტიკის, თმისა და ფრჩხილების მოვლის საშუალებებისა და კანის დიაგნოსტიკისთვის მოწყობილ სტენდებთან. იტალიური კომპანია Frames-ი, მსოფლიოში აღიარებული თავისი ბრენდებით — შამპუნები, ბალზამები, საღებავები, სამკურნალო და სილამაზის სალონის აქსესუარებით იპყრობს დამთვალიერებელთა ყურადღებას. უმაღლესი ტექნოლოგიის ნებისმიერი ტიპი და სიმძლავრის სოლარიუმის აპარატები ფირმა Tecnosoli-მა წარადგინა, ესპანური ფირმა DRV Madrid კი გთავაზობთ დეპილაციისა და კანის მოვლის საშუალებებს, მანიკურებს. კოსმეტიკური საშუალებებით კი გამოირჩევა გერმანული ფირმა Etve Bell.



გამოფენაზე წარმოდგენილი პროდუქციის განვადებით შეძენაში კი მსურველებს კომპანია „ნატალი“ დაეხმარება.

**ელგუჯა ნადარეიშვილი**
**ავტორის ფოტო.**

◉ ნანოტექნოლოგიები

# უკვდავების კონტური

**2045 წელს ჩვენ ახალი სხეულის შექმნა შეგვეძლება, — აცხადებენ ამბიციური პროექტის „უკვდავების“ წევრები ადამიანების... კიბორგებად გადაქცევის შესახებ. ლაპარაკია ხელოვნური თავის ტვინის შექმნის გეგმაზე, რაც თავისი მასშტაბით ბირთვული იარაღის შექმნის ტოლფასია.**

კორპორაცია უკვდავება საზოგადოებრივი მოძრაობის „როსია — 2045“-ის ფარგლებში შეიქმნა. მასში გაწევრდნენ ხელოვნურ ორგანოთა ბიონიკურ სისტემათა და ნეიროინტერფეისების (თავის ტვინსა და კომპიუტერებს შორის ინფორმაციის გაცვლის მოწყობილობების — რედ.ძ შექმნის გამოცდილი სპეციალისტები. მეცნიერთა გეგმა ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების თაობაზე ასეთია: **„თავდაპირველად ჩვენ გაგვიჩნდება, ავატარი — ხელოვნური სხეული, რომლის დისტანციურად მართვა შეგვეძლება. მერე, როცა ახალ სხეულს შევეჩვევით, შესაძლებელი გახდება თავის ტვინის გადანერგვა. ხოლო როცა ისიც „გაცვდება“, მთელი ინფორმაციის გადაწერა ხელოვნურ თავის ტვინში გახდება შესაძლებელი. მერე კიდევ იმის საშუალება იქნება, რომ კაცმა ჰოლოგრაფიული სხეული, ან ნანოორობოტებისგან აწყობილი სხეული აირჩიოს“,** — აცხადებენ „უკვდავების“ წარმომადგენლები.

კორპორაციის გეგმების თანახმად, ჰომო საპიენსისების კიბორგებად გადაქცევა, უახლოეს ოცდაათ წელიწადზე ცოტა მეტ ხანში გახდება შესაძლებელი. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სისტემურ კვლევათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ოპტიკო-ტექნოლოგიური ტექნოლოგიების ცენტრის ნეიროინფორმატიკის განყოფილების გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ვიტალი დუნინ-ბარკოვსკი ამის თაობაზე ამბობს:

— კაცმა შეიძლება მილიონი წელი იცოცხლოს, მაგრამ როგორ? მაგალითად, აკადემიკოსი ვლადიმერ სკულაჩევი ამის გაკეთებას **გენეტიკური პროგრამის შეცვლით ცდილობს.** მან ეფექტიანი ანტიოქსიდანტის სინთეზირება შეძლო, რომელიც ცხოველების ათამდე ხანდაზმულობის ავადმყოფობას კურნავს. აკადემიკოსი სკულაჩევი ამბობს, რომ **სიკვდილი დაპროგრამებულია, მას კი ამ პროგრამის შეცვლა სურს,** თუმცა ეს რთული ამოცანაა, რადგან ბუნება გენეტიკას უზარმაზარი დროის მანძილზე „ამუშავდება“. თანაც, ეს პროგრამა რომც შეიცვალოს, კარგი შედეგი იქნება თუ ცუდი, კაცმა არ იცის.

აკადემიკოს ანდრეი კოლმოგოროვს მიაჩნდა, **რომ ჩვენი გონება, სამყაროს აღქმა — ეს იგივე გამოთვლითი პროცესებია, რომელთა იდენტიფიცირება, მათი მიმდინარეობის აღქმა, შემდგომ კი სხვა ხერხით, მაგალითად, ელექტრონულ მატარებელზე გამეორება — შესაძლოა სწორედ ეს იყოს რეალური უკვდავება, რომლის მიღწევა, პრინციპში, სავსებით შესაძლებელია.**



ამასთან, გონების ციფრულ რეჟიმში გადასაყვანად, შემდგომ კი ავატარში გადასატანად, საჭიროა მისი ყველა „წვრილმანის“ ცოდნა. საამისოდ, **თავის ტვინის ინსტიტუტში დასასრულს უახლოვდება სამუშაოთა დიდი ციკლი, რომელთა მიზანია თავის ტვინის მუშაობის კონკრეტული მექანიზმების დადგენა.** ამ მიმართულებას **severse engeenering** (უკუკონსტრუირებაძ ეწოდება. ზოგიერთი დეტალი უკვე ცნობილია, დანარჩენების დასადგენად საჭიროა მრავალი სპეციალისტის, ასე ვთქვათ, მასირებული შეტევა. **თავის ტვინის მუშაობის სრული სქემის დასადგენად 3-5 წლის განმავლობაში დაახლოებით 30 მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტის მუშაობაა საჭირო.**

ამდენად, ბიოლოგიური ევოლუცია ტექნოლოგიური ევოლუციით შეიცვლება, თან საკმაოდ მალე. მეცნიერები არ აპირებენ ახალი ნეირონების აწყობით თავის ტვინის კონსტრუირებას. მათი მიზანია თავის ტვინში მიმდინარე საინფორმაციო პროცესების მოდელირება. თანაც ახალი ინფორმაციის მიღება-დამუშავება ონლაინ, ანუ ცხოვრებასთან ურთიერთობის რეჟიმში განხორციელდება.

**ლალი ხუნდაძე**

◉ ინფორმაცია

## მიწისძვრა თურქეთში

**თურქეთში 5.4 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. როგორც თურქული მედია იუწყება, ეპიცენტრი ქვეყნის სამხრეთში, ელაზიგის პროვინციაში დაფიქსირდა. ბიძგები იგრძნეს ელაზიგის მეზობელ პროვინცია დიარბაქირში. მიწისძვრას ნგრევა არ გამოუწვევია.**

**შეგახსენებთ, რომ ძლიერი მიწისძვრა თურქეთში 2010 წლის მაისში მოხდა. 6.0 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრას ელაზიგში 51 ადამიანი ემსხვერპლა. 1999 წელს მომხდარ 7.4 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრას 18 000 ადამიანი ემსხვერპლა.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.

## ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



გიორგი სტურუა 2004 წლიდან არის „საქართველოსა და აზერბაიჯანის მეგობრობის სახლის“ ვიცე-პრეზიდენტი (პრეზიდენტია პროფესორი გიული ალასანია). ამ „მეგობრობის სახლს“ (ტერიტორიულად თბილისშია) დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თვითონ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, რომელთანაც ახლო მეგობრული ურთიერთობა აქვს გიორგი სტურუას. ამ სურათზეც სწორედ ერთ-ერთი მეგობრული შეხვედრაა აღბეჭდილი. სურათი გადაღებულია ბაქოში 2007 წელს.

## გილოცავთ, კოლეგა!

# წელგამართული ლომიძე...

აი, ვინ ამართლებს თავის გვარს, რაც არაერთხელ აღვნიშნავს კიდეც მის კოლეგებსა და მეგობრებს.

ზურაბ ლომიძე – ზრდილი და სამაგალითო იმერი;

ზურაბ ლომიძე – შესანიშნავი პროფესიონალი ჟურნალისტი;

ზურაბ ლომიძე – ერთთავად სასიყვარულოდ, სამეგობროდ გამზადებული, ღიმილიანი, შუბლნათელი...

ბატონი ზურაბი ოდნავადაც ვერ შეცვალა, კარგა ხნის წინათ, მაღალმა პარტიულმა თანამდებობებმა, თუმცა არც საქინფორმში მუშაობა დაჰკლებია და არც პარტიის ცეკაში... და დღეს ოთხმოცს მიტანებული ჩვენი ზურაბი, წელგამართული რომ დადის, ეს მარტო ჯიშითა და გვარით კი არ მოსდგამს, „ლომური“, კაცური ცხოვრების წესითაც არის. სწორედაც რომ ბედნიერები ვართ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები, ამ ბოლო ხანს, ჩვენს რედაქციაში რომ მოღვაწეობს ზურაბ ლომიძე, რადგან იგი იმის მაგალითსაც იძლევა, რომ რა ვაი-უშველებელიც არ უნდა ტრიალებდეს ირგვლივ, საჭიროა „ჭირსა შიგან გამაგრება“, ერთმანეთის გამხნევება და უკეთესი მომავლის იმედი... ჰოდა, მომავლის იმედი არ მოგეშალოთ, ბატონო ზურაბ, ჯანმრთელად იყავით, დაბადების დღეს გილოცავთ!

„საქართველოს რესპუბლიკის“
რედაქცია

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● ამერიკის ქალაქ ლინკოლნში ადგილობრივმა ბიბლიოთეკარებმა უჩვეულო გამოფენა მოაწყვეს. აქ წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახის ნივთი: ძეხვის ნაჭრები, სამზარეულო დანები, ქირურგიული ხელთათმანები, სამართებლები და ბევრი სხვა რამ, რომლებსაც მკითხველები იყენებდნენ ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნების სანიშნედ.

● იაპონიაში მოსწავლეები ორივე ხელით სწავლობენ წერას.

● ყველაზე შეუხედავ ქალებად მსოფლიოში ავღანელი ქალები მიიჩნევიან.

● ვენეციაში ლურჯი ნავებით მხოლოდ პოლიციელები გადაადგილდებიან.

● ადამიანი, რომელმაც პოლიციელს „ღორი“ დაუძახა, მოსამართლემ უცნაურად დასაჯა. დამნაშავე ერთი დღის განმავლობაში ქალაქის ცენტრში ცოცხალი ღორის გვერდით უნდა მდგარიყო და სჭეროდა პლაკატი წარწერით: „ეს არის პოლიციელი“.

● ჩინეთში ჭამის დროს ფიალაში ბრინჯის დატოვება ცუდ ტონად მიიჩნევა. ეს ნიშნავს, რომ ვერ განსაზღვრე და იმაზე მეტი გადაიღე, რამდენის შეჭმაც შეგეძლო.

● მექსიკელთა შორის მოარული ფრაზა: „ეჰ, მექსიკავ, მექსიკავ, რა შორს არის შენგან ღმერთი და რა ახლოსაა ამერიკის შეერთებული შტატები.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

## საღამო

# მონატრებული ფშაური ფოლკლორი

ვაჟა-ფშაველას 150 წლის იუბილეს მიეძღვნა პროფკავშირების კულტურის სასახლეში გამართული ფშაური ფოლკლორის საღამო. თბილისს ესტუმრნენ ფშავში მცხოვრები მოლექსეები და ფშაველი შემსრულებლები. ფოიეში ხელმარჯვე ოსტატთა ნამუშევრები და ფერწერული ტილოები გამოიფინა, გაიყიდა წიგნები.



საღამოს, რომელიც „ფშავის აღორძინება-განვითარების“ კავშირის ინიციატივით გაიმართა, უძღვებოდნენ პოეტი მარიამ ხუცურაული (სანათაძ და ლიტერატორი ვანო ბერიძიაშვილი.

ორგანიზატორების თქმით, მსგავსი საღამო, სადაც ფშავის ფოლკლორი სრულყოფილად წარმოჩინდებოდა, ბოლო 30 წლის მანძილზე თბილისში არ ჩატარებულა. ეს დღე მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ იუნესკომ 2011 წელი ვაჟა-ფშაველას წლად გამოაცხადა.

დარბაზი ოვაციით შეხვდა უხუცეს მონაწილეს, სახალხო მთქმელს გაბრიელ გარაშვილს. სამი საათის განმავლობაში ერთმანეთს ცვლიდნენ თიანელი, დუშელი, ახმეტელი, პანკისელი ფშაველი მოლექსეები და მომღერლები, მოცეკვავეები.

ნატა ნიბლაძე



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6578 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4240 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7150 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9891 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.5068 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1303 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1107 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0635 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5885 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +17 – +29 |
| ქუთაისი. | +17 – +28 |
| ბათუმი. | +19 – +26 |
| ზუგდიდი. | +17 – +29 |
| თელავი. | +17 – +28 |

## კადრი



## ანეკდოტები

– ისე, მე თუ მკითხავ, კაცმა ღმერთებთან უნდა იმეგობროს.

– რატომ?

– მართალია, ფულს არ გასესხებენ, მაგრამ არც ვალს მოგთხოვენ.

* * *

– უკაცრავად, თქვენს მაღაზიაში შეიძლება დიდი ბოროტების პატარა ბოროტებაზე გაცვლა? – ენის ბორძიკით ეკითხება ივანიჩი გამყიდველს.



– ვერ გავიგე. ეგ როგორ?

– ჩვეულებრივად. ფულის არაყზე გადაცვლა მინდა.

* * *

მხოლოდ რუსეთში ელიან ყველანი, თუ ვინ იქნება პრეზიდენტობის კანდიდატი ისე, რომ მისგან არაფერს არ ელიან.

* * *

– რომელი ბიზნესია რუსეთში ყველაზე შემოსავლიანი – ნავთობისა თუ გაზისა?

– რუსეთში ყველაზე მომგებიანი ბიზნესი სახელმწიფო საქმიანობაა.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით ალმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 8599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24